გაზეთი გამოდის
1930 წლის
5 ნოემბრიდან

samtredismacne @ gmail.com

# სამტრედიის მაცნე

№17 (9370) 15 სექტემბერი. 2022 წელი ფასი 75 თეთრი

## გილოცავთ ახალი სასწავლო წლის დაწყებას!

კიდევ ერთი საქმიანი თათბირის შესახებ 2

2 საკრებულომ იმსჯელა და გადაწყვიტა

თავისუფალი სტილით მოჭიდავე ოთარ ადეიშვილი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია




9



ქალაქის დასავლეთის შემოსასვლელი მხარე ლამაზდება 3

" ყოჩაღ სამტრედიას, რა კარგი ექიმი ჰყოლია! "



8

4 მენტორის გამოცდა ოთხმა სამტრედიელმა პედაგოგმა ჩააბარა

ინფორმირებულობა უფლებებისთვის და ღირსეული შრომისთვის 3

საკუთარი თავის რწმენა გამოცდილებაზე მეტად რომ ეიმედებათ 6

"ჰუმანური იმერეთი – 2022" 5



2 უფასო სასადილო ახალი აღჭურვილობით

# კიდევ ერთი საქმიანი თათბირის შესახებ

ლევან ბაბუნავა

მორიგი თათბირი გაიმართა 2 სექტემბერს მუნიციპალიტეტის მერმა დავით ბახტაძემ, რომელსაც ვიცე-მერები ვლადიმერ ზაქრაძე და გიორგი მეიშვილი, მერიის სამსახურის უფროსები, ტერიტორიულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, აიპ-ების და იმ სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელები ესწრებოდნენ, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სამუშაოებს რომ ასრულებენ. მოქალაქეებმა თანამედროვე მომსახურება რომ მიიღონ, საამისოდ საქმის წარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლა აუცილებელია, – აღნიშნა მერმა და ამ მიმართულებით განსახორციელებელ გეგმებზე გაამახვილა ყურადღება.

მთავრობის მოთხოვნა, ჩემი ჯერ თხოვნა, შემდეგ მოთხოვნაა, ბოლომდე მიიყვანოთ სახელმწიფო პროგრამა, რომელიც სოციალურად დაუცველი მოქალაქეების საზოგადოებრივ სამუშაოებზე დასაქმებას გულისხმობს. ამ საქმეში მეტად უნდა იაქტიურონ აიპ-ების ხელმძღვანელებმა, მათ მიმართავ ასევე რომ წარმოადგინონ მიმდინარე წლის 9 თვის ანალიზი მათდამი რწმუნებულ ორგანიზაციებში შესრულებული სამუშაოების შესახებ.

თათბირის, ასე ვთქვათ, მეორე ნაწილი სამშენებლო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა მონაწილეობით გაგრძელდა.

კარგია რეიტინგი, მაგრამ მთავარი ხარისხია, მიღება-ჩაბარების აქტს ხელს მანამ ნუ მოაწერთ, ვიდრე ყველაფერი გარკვეული არ იქნება. მიმართა დავით ბახტაძემ მის წარმომადგენლებს ტერიტორიულ ერთეულებში.

თქვენს სამოქმედო ტერიტორიაზე ჩემი თვალი და ყური კი არა, ჩემი გული. ეგივე მერი ხართ, ამდენად მეტი კომუნიკაცია იქონიეთ თქვენდამი რწმუნებულ ტერიტორიებზე არსებულ ორგანიზაციებთან, სკოლებთან, ბაგა-ბაღებთან და ა. შ. აღნიშნა დავით ბახტაძემ და მათ მიმდინარე სარეაბილიტაციო თუ სამშენებლო სამუშაოებში მეტად ჩართულობისაკენ მოუწოდა.

აშკარად თვალში საცემი და სასიამოვნოა ერთი ფაქტი, რომელიც მუშაობის სტილად დაამკვიდრა დავით ბახტაძემ – მადლობის თქმა ღირსეულთათვის.

2 სექტემბერს გამართულ თათბირზე მადლობა ეწყერში მერის წარმომადგენელმა, გრიგოლ დარჯანიამ დაიმსახურა, რომელიც მერის თქმით, ყოველდღიურად მიმდინარე სამუშაოების ფოტოებს ანოტაციური გზავნის მერიაში.

სამადლობელი დაიმსახურეს მერის თანაშემწემ ყაჯა გრიგალაშვილმა და სპეციალისტმა საორგანიზაციო საკითხებში თათია შუბლაძემ, რიგი დავალებების პირნათლად შესრულებისათვის. ისევ და ისევ შესასრულებელი სამუშაოების მაღალი ხარისხისათვის და კადრების მოტივაციისათვის აუცილებელია ღირსეულთა წარმოჩენა, წახალისება, თუნდაც სიტყვიერი.

მოისმინა რა ინფორმაციები სამშენებლო ორგანიზაციების თავკაცთაგან, მერმა არც მათ მიმართ დაიშურა მადლობა, თუმცა აღნიშნა, რომ აუცილებელია მშენებლებს სპეციალური ფორმა ეცვათ, არაა სასიამოვნო წელსზემოთ შიშველი ხალხი დადიოდნენ ქალაქში ბარ-ნიჩბით, მრავალთა სათქმელი გააჟღერა დავით ბახტაძემ.

უკლებლივ საქმიანი, ასე შეიძლება გადაჭარბების გარეშე შეფასდეს 2 სექტემბრის ეს შეხვედრა.





# საკრებულომ იმსჯელა და გადაწყვიტა

ლევან ბაბუნავა

მორიგი სხდომა გაიმართა 5 სექტემბერს მუნიციპალიტეტის საკრებულომ, რომელსაც საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, გაგა სტურუა უძღვებოდა. დამტკიცდა დღის წესრიგი.

ვრცელი განხილვა საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარის, მერაბ ულრულიძის გამოსვლა, რომელმაც კოლეგებს მიმდინარე წლის ივლისის ბიუჯეტის შესრულების ანალიზის შესახებ მოახსენა. მან დეპუტატთა კითხვებს შესაბამისი პასუხები გასცა.

ინფორმაციული ხასიათის იყო მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სტატისტიკის, ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის უფროსის ნოე იჟანიაძის ანგარიში მიმდინარე წლის 1-ლი იანვრიდან 20 აგვისტომდე სამსახურის მიერ გაწეულ მუშაობას რომ შეეხებოდა.

საკრებულომ მადლობა გადაუხადა ნოე იჟანიაძეს, ითქვა, რომ მისი სამსახური ძლიერი გუნდითაა დაკომპლექტებული.

ტაში, კეთილ სურვილებთან ერთად სხდომაზე მაშინ გაისმა, როცა კოლეგებმა საკრებულოს წევრ ირაკლი შელიაშვილს დაოჯახება მიულოცეს.

კიდევ ერთხელ დააფიქსირა საკუთარი მოსაზრება-სურვილი საკრებულოს წევრმა ზაზა ადეიშვილმა, სამტრედიაში სპორტის სასახლის აუცილებლობის შესახებ, რასაც საყოველთაო მხარდაჭერა მოჰყვა.

სამტრედიის რაგბის კლუბ "ფენიქსის" წარმატებით აღფრთოვანებულმა საკრებულოს წევრმა დავით ჯანელიძემ მადლობა მოახსენა მუნიციპალიტეტის იმ ოფიციალურ პირებს მხარდაჭერისათვის 2 სექტემბრის მატჩზე მათი დასწრებით რომ გამოიხატა და გულისტკივილიც გამოთქვა, რომ არ ესწრებოდნენ ისინი, ვინც იქ ნამდვილად უნდა ყოფილიყვნენ.

კიდევ ერთხელ მოახსენა მან მადლობა სერგო რუხაძეს სამტრედიელი რაგბისტების მხარდაჭერისათვის და კიდევ ერთხელ აღნიშნა, ქართული რაგბის განვითარება-აღორძინებაში ცნობილი ბიზნესმენის, ბიძინა ივანიშვილის დიდი წვლილის შესახებ.

დღის წესრიგში არსებული ყველა საკითხი განიხილა საკრებულომ და მიიღო შესაბამისი გადაწყვეტილებები.



# იმერეთში ინფრასტრუქტურული ბიუჯეტი 69 656 927 ლარია გამოყოფილი

ნინო ნანიტაშვილი

იმერეთში სახელმწიფო რწმუნებული ზვიად შალამბერიძე საერთაშორისო (პოლონელი) ექსპერტს პიოტრ ქუბერს და გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) პროექტების მენეჯერს, ნინო კაკუბავას, შეხვდა.



იმერეთის გუბერნატორმა საერთაშორისო ექსპერტს საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის (PIRDP) მიმდინარეობაზე მიაწოდა ინფორმაცია და აღნიშნა, რომ 21-ვე მუნიციპალიტეტში ევროკავშირის მიერ დაფინანსებულ პროექტებზე სამუშაოები აქტიურ ფაზაშია. ზვიად შალამბერიძემ საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების (PIRDP) პროგრამის ფარგლებში არსებულ ქვეკომპონენტებზე ისაუბრა და დასძინა, რომ 2022 წლის პროგრამის პრიორიტეტებია: ურბანული განახლება – ინტეგრირებული აქტივობები ურბანულ ტერიტორიებზე, უნიკალური პოტენციალის გამოყენებით ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა და ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარება. ასევე, განხილვის საგანი იყო (PIRDP)-ის ყველაზე ეფექტური ღონისძიებების განსაზღვრა და იმ შეზღუდვების გამოვლენა, რომლებიც უნდა გადაიჭრას სამომავლო ტერიტორიული განვითარების პროგრამ(ებ)ის მომზადებისას.

"შეხვედრის მიზანია, ექსპერტმა, პიოტრ ქუბერმა შეაგროვოს ცენტრალურ-რეგიონული და ადგილობრივი ხელისუფლების წარმომადგენლების მოსაზრებები, ინფორმაცია და მონაცემები, საპილოტე ინტეგრირებული რეგიონული განვითარების პროგრამის (PIRDP) განხორციელების შეფასებისთვის, მიღებული გამოცდილების გასაანალიზებლად და რეკომენდაციების შესამუშავებლად სამომავლო რეგიონული განვითარების პროგრამების სტრატეგიული ხედვების ჩამოყალიბებისთვის. საქართველოში რეგიონების ინტეგრირებული განვითარების საპილოტე პროგრამა წარმოადგენს სახელმწიფო პროგრამას, რომელიც ემყარება ევროკავშირის რეგიონული განვითარების პოლიტიკას. პროგრამის მიზანია, ხელი შეუწყოს დაბალანსებული განვითარების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას ტერიტორიული განვითარების ინტეგრირებული ინიციატივების განხორციელების გზით. საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის ფარგლებში, იმერეთში 2021-2022 წლებში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტებისთვის 69 656 927 ლარია გამოყოფილი.

# უფასო სასადილო ახალი აღჭურვილობით

ნინო ნანიტაშვილი

ადგილობრივი ბიუჯეტის დახმარებით ააიპ-ი სამტრედიის მუნიციპალიტეტის "სახლი თანადგომის" ადმინისტრაციამ უფასო სასადილოსთვის ახალი მაგიდები და სკამები, ასევე, სამზარეულოს ჭურჭელი შეიძინა.

"უფასო სასადილოსთვის კიდევ უნდა შევიძინოთ საწოლი, ახალი ტაფები და ქვაბები. განახლებული ინვენტარით გვინდა, გავაუმჯობესოთ უფასო სასადილოს ბენეფიციართა მომსახურება.

13 სექტემბრისთვის დაგეგმილია სარეკონსტრუქციო, რომლის შემდეგაც გვექნება საშუალება, გამოვაცხადოთ ტენდერი სამზარეულოში რემონტის ჩასატარებლად, რაც ითვალისწინებს ფანჯრების შეცვლას, წყლისა და კანალიზაციის სისტემების მოწესრიგება, კედელ-მეტლახით სამზარეულოს მოპირკეთება, სველი წერტილების გაახლება და სხვადასხვა სახის სარემონტო სამუშაოების შესრულება. რაც შეეხება ახალი ინვენტარის შეძენას, საკმაოდ ცუდად გამოიყურებოდა მაგიდები, სკამები. ყველაფერი ეს გულთან ახლოს მიიტანა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერმა. დავით ბახტაძემ გამოყო თანხა მაგიდებისა და სკამების შესაძენად.

გამოყოფილია თანხა, რომლითაც უნდა შევიძინოთ ახალი მაცივარი, გაზი, გამწოვი. მადლობას ვუხდი "სახლი თანადგომის" თანამშრომლებს და ბენეფიციართა სახელით მუნიციპალიტეტის მერს, მის მოადგილეებს. დავით ბახტაძე და გიორგი მეიშვილი მაქსიმალური ყურადღება გამოიჩინეს ჩვენი ბენეფიციარების მიმართ",– "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში განაცხადა "სახლი თანადგომის" დირექტორმა მზევინარ ბოხუამ.





# ინფორმირებულობა უფლებებისთვის და ღირსეული შრომისთვის

ნინო ნანიტაშვილი

9 სექტემბერს სამტრედიაში "ევროკავშირი საქართველოსთვის" და "ქალთა ფონდი საქართველოსთვის" ფარგლებში შეხვედრა გაიმართა თემაზე "ინფორმირებულობა უფლებებისთვის და ღირსეული შრომისთვის", რომელშიც მონაწილეობა მიიღეს დევნილმა და ეკომიგრანტმა ქალბატონებმა დაინტერესებულ პირებთან ერთად.

"შრომითი უფლებებზე საზოგადოების ინფორმირებულობა ამ ფონზე გამოწვევად რჩება, განსაკუთრებით კომპაქტურად ჩასახლებულ დევნილთა ჯგუფებში და ეკომიგრანტებში. იმერეთის რეგიონის სამი მუნიციპალიტეტი: ხონი, წყალტუბო და სამტრედია ამ კუთხით გამოირჩევა. სადაც სულით ჯამში 4 000-მდე აფხაზეთიდან დევნილი ოჯახი და 500-მდე ეკომიგრანტი ოჯახი ცხოვრობს. შესაბამისად, ამ დასახლებებში მცხოვრები ქალები შრომით ურთიერთობებში ადგილზე არსებულ დამსაქმებლებთან არიან. მნიშვნელოვანია ამ სამიზნე ჯგუფის ინფორმირებულობა შრომით ურთიერთობებზე". – აღნიშნა პროექტის ხელმძღვანელმა, მარიკა ვაჭარაძემ.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილი აქტივობები სწორედ მათ გაძლიერებაზეა ორიენტირებული, უფლებებზე ინფორმირებულობის და უნარების შეძენის მიმართულებით.

პროექტის "ინფორმირებულობა უფლებებისთვის და ღირსეული შრომისთვის" მიზანი დევნილი და ეკომიგრანტი ქალების შრომით უფლებებზე ინფორმირებულობა, გენდერული თანასწორობის შესახებ ცნობიერების ამაღლება და მათი უნარების გაძლიერებაა. აღნიშნული მიზნის მისაღწევად ორგანიზაციის მიერ დაგეგმილია შემდეგი აქტივობები: დევნილი და ეკომიგრანტი ქალების შრომითი უფლებების გაცნობა და დაცვის მექანიზმების სწავლება და გამომუშავება; დევნილი და ეკომიგრანტი ქალების საბაზისო უნარების ჩამოყალიბება შრომითი ურთიერთობების საწყის ეტაპზე (რეზიუმეს შედგენა, გასაუბრების ტექნიკები, სამოტივაციო წერილი); – საინფორმაციო/ადვოკატირების აქციების ჩატარება; – მედია გადაცემების მომზადება (2 ტელე და 1 რადიო–.

სამტრედიაში გამართულ შეხვედრაში 40-მდე დევნილი და ეკომიგრანტი ქალბატონი მონაწილეობდა. შეხვედრამ საკმაოდ საინტერესოდ და შინაარსიანად ჩაიარა.





## ძლიერი ქარი სამტრედიაში, ხანძრები საქართველოში

ლევან ბაბუნაშვილი

მაშინ,როცა ბორჯომის ხეობაში ღამის ორი კვირის განმავლობაში აქრობდნენ ხანძრებს, იწვოდა შაგნაბადას ფართობები, დაიწვა ქუთაისის ყოფილი ფსიქიატრიული საავადმყოფო და ერთი სიტყვით, აქეთ-იქეთ ხანძრები მძვინვარებდა, კოლხეთის დაბლობზე, სამტრედიაში მთელი კვირის განმავლობაში სოლცრად მაღალი სიცხეები იყო და ძლიერი ქარი ქროდა.

გვალვამ, ქარებმა დააზიანა ბაღჩეულ-ბოსტნეული, ჩამოჭკნა უმწიფარი ხილი, ზიანი მიადგა სიმინდის ყანებს, ერთი სიტყვით, ხალხს ნამდვილი თავსატეხი გაუჩნდა.

მთავრობის ერთ-ერთ სხდომაზე პრემიერმა შესაბამის სტრუქტურებს მადლობა მოახსენა კოორდინირებული მუშაობისთვის, არ გამორიცხა, გახშირებული ხანძრების დივერსიასთან კავშირი და კიდევ სამი ვერტმფრენის შეძენის შესახებ გააჟღერა ინფორმაცია, არადა შარშან ბევრს, მათ შორის ამ ინფორმაციის ავტორსაც, მიმინებულად მოსაყვედურეს "მსგავსი სიცხეები წინათ არ ყოფილაო"?! ეჭვი რა საკადრისია, მაგრამ თურმე მარტო ჩვენ ხალხი არ ვფიქრობთ ასე...

 იმბლად სამტრედიაში ძლიერ ქარსა და სიცხეებს ზარალი არ მოჰყოლია, რა თქმა უნდა, სერიოზული, ისე კი, რას ვიზამთ, ყველა არ იყოს, მძრძანებელია ბუნება.





## ქალაქის დასავლეთის შემოსასვლელი მხარე ლამაზდება

"საპილოტე რეგიონების ინტეგრირებული განვითარების პროგრამის" ფარგლებში, ქალაქ სამტრედიაში, ე.წ. ხდკ-ს დასახლებაში 7 მრავალბინიანი კორპუსის ფასადების, ცენტრალური გზების და სკვერის რეაბილიტაცია მიმდინარეობს.

პროგრამის ფარგლებში, ქალაქის დასავლეთის შემოსასვლელში მერაბ კოსტავას ქუჩის ნაწილის, ე.წ. (ხდკ-ს) უბნის განახლება ხდება. სამუშაოებს ყოველდღიური მონიტორინგის მიზნით, მუნიციპალიტეტის მერი, დავით ბახტაძე ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლებთან ერთად 10 სექტემბერს მიმდინარე ინფრასტრუქტურულ პროექტს ადგილზე გაეცნო და მშენებელი კომპანიის წარმომადგენლებს გაესაუბრა. როგორც მუნიციპალიტეტის მერმა მედიასთან კომენტარში განმარტა – "სამუშაოები გეგმა-გრაფიკის დაცვით მიმდინარეობს. პროექტის განხორციელების შემდეგ, მნიშვნელოვნად გაუმჯობესდება ქალაქის ამ ნაწილის იერ-სახე, რაც კომფორტულ გარემოსა და ესთეტიკურ საცხოვრებელ პირობებს შეუქმნის ადგილობრივებს".

ნინო ნანიტაშვილი



## მადლობა მუნიციპალიტეტის მერს

ვინ იცის, რა ხანია წუხდა მოსახლეობა რიონს გაღმა არსებული სასოფლო-სამეურნეო მიწის ფართობებამდე არსებული სამანქანო გზის უვარგისობის გამო. წლების წინ, ამ წერილის ავტორსაც კარგად ახსოვს, მაშინ, როცა ჯერ კიდევ არსებობდა კოლმეურნეობები, თუ როგორ ამოუტრიალდა ნაცნობს ხალხით დატვირთული სატვირთო მანქანა და სასწაულებრივად გადარჩა ხალხი. ერთი სიტყვით, პრობლემა პრობლემად რჩებოდა და აი, ამ დღეებში აქამდე საკის ქუჩად ქცეული ეს პრობლემაც გადაწყდა.

მუნიციპალიტეტის მერის დავით ბახტაძის აქტიური ჩარევით და შესაბამისი უწყებების ძალისხმევით, ფართობებამდე მისასვლელი გზა მოწესრიგდა. "სამტრედიის მაცნეს" მეშვეობით საჯაროდ მადლობელი მინდა ვუთხრა ხალხის სახელით" – გვითხრა სამტრედიაში ცნობილმა სამეურნეო ხელმძღვანელმა ბატონმა ტარიელ ოსიკაძემ. სამადლობელს ჩვენც ვუერთდებით და მადლობას ვუხდით მრავალწლიანი პრობლემის მომგვარებლებს.

ლევან ბაბუნაშვილი

## სამტრედიაში სწავლა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში 15 სექტემბერს დაიწყო

ნინო ნანიტაშვილი




2022-2023 სასწავლო წლისთვის სამტრედიის 34 საჯარო და 2 კერძო სკოლა სრულ მზადყოფნაშია დაიწყოს სასწავლო პროცესი. საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ მოწოდებული ინფორმაციით სამტრედიაში დაფიქსირებულია 6683 მოსწავლე. მათ შორის 576 პირველკლასელია, რომლებმაც სახელმწიფოსგან პორტატული კომპიუტერები მიიღეს, ასევე დაწყებითი კლასების 37 დამრიგებელს გადაეცა პორტატული კომპიუტერი. ყველა სკოლაზე გადანაწილდა 50 000-ს ცალამდე სახელმძღვანელო. მათ შორის, იაკობ გოგებაშვილის "დედაენა", როგორც საჯარო, ისე კერძო სკოლის პირველკლასელებს გადაეცათ საჩუქრად. სკოლებს აგრეთვე მისცეს ჰიგიენური საშუალებები: ხელის სადეზინფექციო ხსნარები, ელექტროთერმომეტრები და ასე შემდეგ.

№4, №12, სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლები შენობის სრულად რეაბილიტაციის გამო №3, №10 და დაბა ყულაშის საჯარო სკოლებში მეორე ცვლაში დაიწყებენ სასწავლო პროცესს. უახლოეს პერიოდში დაიწყება №4 და სოფელ ნაბაკევის საჯარო სკოლების მშენებლობა. რაც შეეხება №12 საჯარო სკოლას, სავარაუდოდ, 2023 წლის 1 იანვრიდან განახლდება სასწავლო პროცესი სრულად რეაბილიტირებულ სკოლაში.

ასევე, უახლოეს პერიოდში უნდა დაიწყოს სოფელ ჩხენიშის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია.

სამტრედიის მუნიციპალიტეტში არის ორი კერძო სკოლა შპს "ცოდნა" და ააიპ საქართველოს საპატრიარქოს წმინდა მიტროპოლიტ ნაზარი ლეჟავას სამტრედიის მართლმადიდებლური სკოლა, რომლებმაც წარმატებით გაიარეს ავტორიზაციის პროცესი.

"ასე რომ, სამტრედიის ზოგადსაგანმანათლებლო სკოლები სრულად მომზადებულები ელიან ახალ 2022-2023 სასწავლო წელს მოსწავლეებს." – განაცხადა "სამტრედიის მაცნესთან" საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, თინათინ ხარძიანმა.

## მენტორის გამოცდა ოთხმა სამტრედიელმა პედაგოგმა ჩააბარა

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მასწავლებლებმა მენტორის გამოცდა წარმატებით ჩააბარეს. ეს პედაგოგები არიან: ნანა ჩომახიძე და აკაკი წულაია ნაბაკევის საჯარო სკოლიდან და როზა ბაღდავაძე და სოფიო შენგელია სამტრედიის მეექვსე საჯარო სკოლიდან. როზა ასევე ასწავლის სამტრედიის მეთორმეტე საჯარო სკოლაში. "სამტრედიის მაცნე" ამ პედაგოგებს დაუკავშირდა, რომლებმაც კიდევ ერთი ნაბიჯი გადადგეს უმაღლესი პედაგოგიური ტიტულის მოსაპოვებლად.

ნანა ჩომახიძე, ნაბაკევის საჯარო სკოლის მათემატიკის მასწავლებელი: – მასწავლებლისთვის, რომელიც მუშაობს, ნაცნობი უნდა იყოს ეს საკითხები. მათი ცოდნის გარეშე მასწავლებელი სკოლაში ვერ წარმართავს წარმატებულ საქმიანობას. ამ გამოცდის ჩაბარება იმან გამოადგინა, რომ ამ საკითხებზე მიმუშავნია და საჭირო იყო მისი ფურცელზე გადმოტანა. არა მგონია, სხვა წარმატებულმა მასწავლებელმა ეს ვერ გააკეთოს, უბრალოდ გამოცდაზე მეტი დრო იყო საჭირო. თუ მეტი დრო იქნებოდა, მასწავლებლები უკეთ წარმოაჩენდნენ შესაძლებლობებს.

აკაკი წულაია, ნაბაკევის საჯარო სკოლის ინგლისური ენის მასწავლებელი:

– სკოლაში 3 წელია ვასწავლი, ეს შედეგი არის საკუთარ თავში კიდევ ერთხელ დარწმუნება, რომ მე ეს შემიძლია. ეს იყო, ალბათ, თავისუფალ აზროვნებასა და ლოგიკაზე გათვლილი გამოცდა, თუმცა საკითხებს, რომლებიც საგამოცდოდ მოგვეცა, სკოლებში პედაგოგები გავდივართ სხვადასხვა პროექტებისა და ტრენინგების სახით. ვფიქრობ, ამ ფაქტორმაც იმოქმედა. ყველა ჩემს კოლეგას პროფესიულ წინსვლას ვუსურვებ. ისიც სასიამოვნოა, ალბათ, როცა რჩეულებში ხვდები.

როზა ბაღდავაძე, მე-6 და მე-12 საჯარო სკოლა:

– მენტორი მასწავლებლის ტიტულის მოპოვებამდე ჯერ უამრავი აქტივობაა შესასრულებელი, რაც, ალბათ, უახლოეს მომავალში, წლის განმავლობაში გაიწელება, ეს გამოცდა პატარა ნაბიჯი იყო მენტორი მასწავლებლის სტატუსის მოსაპოვებლად, იმედია, ყველა შევძლებთ ბოლომდე მისვლას სკოლის და ჩვენი მოსწავლეების სასიკეთოდ.

სოფიო შენგელია, მე-6 საჯარო სკოლის ქიმიისა და ბუნების პედაგოგი:

– 2003 წლიდან ვასწავლი ქიმიას, მერე ჩავაბარე ბუნებისმცოდნეობის გამოცდაც, გავხდი სერტიფიცირებული და მესამე წელია, ბუნებასაც ვასწავლი. წამყვანობის გამოცდაზე გავედი და იმდენად მაღალი ქულა მოვიპოვე, დავძლიე მენტორისთვის დაწესებული ბარიერი! ეს სასიამოვნოც იყო და ცოტა მოულოდნელიც, უკვე დიდი პასუხისმგებლობაა, ეტაპობრივად, ყველა საჭირო აქტივობას გავახორციელებ, ტრენინგებს, რა თქმა უნდა, ვესწრებოდი, უკვე მოტივაციაც გაიზარდა. ამ წარმატებაში დიდი წვლილი ჩვენი, პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობას მიუძღვის, ვფიქრობ, გუნდური მუშაობა ბევრის მომცემი და ძალზე მნიშვნელოვანია სკოლისათვის. მომავალშიც ასე ნაყოფიერი თანამშრომლობით, ვფიქრობ, კიდევ ბევრს შევძლებთ.







## მიყვარს ადამიანებთან ურთიერთობა

ლევან გაბიჩაძე

*ახალი ახალგაზრდა კადრები ყოველთვის იპყრობდა საზოგადოების ყურადღებას. მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწის, ვაჟა გრიგალაშვილის, პიროვნებით ჩვენი დაინტერესება ერთ-ერთ სამუშაო თათბირზე, მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ხელისუფლების პირველი პირის მიერ თანაშემწის მისამართით გაჟღერებულმა საბამდლობელმა და მის მიმართ შექმნილმა საერთო პოზიტიურმა აზრმა განაპირობა.*

დაიბადა 1994 წელს. ნაბაკევის საჯარო სკოლის დამთავრების შემდეგ გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტი დაამთავრა. შემდეგ კი თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო სამართლის მაგისტრატურა და მიენიჭა საერთაშორისო სამართლის მაგისტრის წოდება. თავდაპირველად თბილისში ერთ-ერთ კერძო იურიდიულ კომპანიაში იმუშავა. მუშაობდა საქართველოს პარლამენტის იურიდიულ კომიტეტშიც. ექვსი თვეა, სამტრედიის მუნიციპალიტეტის მერის თანაშემწის პოზიციას იკავებს.

მუნიციპალიტეტის მერი, ბატონი დავით ბასტაძე საოცრად კომფორტული პიროვნებაა, მაქსიმალისტი გახლავართ და ბატონი დავითი არ მზღუდავს საკუთარი აზრის გამოხატვისას. იგი ჩემი დიდი მეგობარია, მისგან ბევრს ვსწავლობ. – გვიუბნება ის.

თავისუფალ დროს მეგობართა წრეში ატარებს. უყვარს მხატვრული ლიტერატურა. უპირატესობას კი გურამ დოჩანაშვილისა და სტივენ კინგის შემოქმედებას ანიჭებს. მართლმადიდებელი ახალგაზრდა მწუხარებას გამოთქვამს დეკანოზ ათანასე რუხაძის უდროოდ გარდაცვალების გამო, რომელიც მისი მოძღვარი იყო და გვეუბნება რომ ამჟამად მამა გიორგის (ზვიადაძე) სულიერი შვილია.

ვაჟა გრიგალაშვილის აზრით, უდავოდ განათლებული თაობა მოდის, თუმცა ქვეყანაში, რეგიონებში არ იგრძნობა ახალგაზრდული მუხტი. მისი აზრით, არაა აუცილებელი მაინცდამაინც ყველანი დედაქალაქში დასახლდნენ. რეგიონებში მუშაობა მისთვის საინტერესოცაა და ერთგვარად მიმზიდველიც.

როცა განვლილი დღის ანალიზს გააკეთებ საკუთარ თავთან მარტო დარჩენილი, ერთგვარ შვებას ვგრძნობ, თუ კი იმ დღეს ვინმეს დახმარება შევძელი. – აღნიშნავს რესპონდენტი და ხაზს უსვამს, რომ ადამიანებთან ურთიერთობა უყვარს.

მისი აზრით დამოუკიდებელი საქართველოს პირველი პრეზიდენტი, ზვიად გამსახურდია და ამერიკის ყოფილი პრეზიდენტი რონალდ რეიგანი უდიდესი პოლიტიკოსები არიან.

შეკითხვაზე, სად წარმოუდგენია საკუთარი თავი მომავალში? მოკლედ და თავაზიანად გვპასუხობს: დრო გვიჩვენებს, სადაც ჩვენი გული გადაწყვეტს.



მერის თანაშემწისგან შევიტყვეთ, რომ იგი რაიონული გაზეთის სისტემატური მკითხველია. მოკრძალებით გვითხრა, კარგი იქნება ახალგაზრდების, მათი პრობლემების, იდეებისა და მიზნების შესახებ უფრო ხშირად თუ დაიწერებათ.

სულ ესაა ჯერჯერობით. ტექნიკური მხარე, თუმცა ჟურნალისტური პრაქტიკიდან გამომდინარე ჩემთვის ყურადღება მისაქცევი იმასთან დაკავშირებით, რომ რესპონდენტის პასუხისმგებლობას გაუსვა ხაზი, რაც ხშირად არ ხდება ხოლმე. შეთანხმებულ დროზე, მშვიდ გარემოში შედგა ჩვენი ეს საუბარი.

წარმატებებს ვუსურვებთ, დიახაც რომ, ძლიერ და საქმის მცოდნე გუნდში მომუშავე მერის ახალგაზრდა თანაშემწეს, ბატონ ვაჟა გრიგალაშვილს სამომავლოდ.

# „ჰუმანური იმერეთი – 2022"

ხათია ჩაგელიშვილი

ჰუმანური პედაგოგიკის საერთაშორისო ცენტრის დამფუძნებელი, საქართველოს პედაგოგთა გამოჩენილი, შესანიშნავი პედაგოგი შალვა ამონაშვილი სამტრედიის ესტუმრა. მასთან ერთად სამტრედიელ პედაგოგებს ძალზე საინტერესო მოსაზრებები გაუზიარეს ამონაშვილის აკადემიის წევრებმა, მისმა შვილმა პაატა ამონაშვილმა და რძალმა, „ზასტი ბუბუს" დამფუძნებელმა, თამარ სიჯიტარიძემ. „ჰუმანური იმერეთი" – ასე ერქვა ამონაშვილების ლექციას, რომლის სამტრედიაში გამართვის ორგანიზატორები სტომატოლოგები მამუკა ქავზირაძე, თინათინ ქიმშიაშვილი და ნინო ჯოჯუა იყვნენ. ამ ფართომასშტაბიან პედაგოგიურ სემინარს სამტრედიის, ვანის, ქუთაისის და ხონის პედაგოგები და საბავშვო ბაღის აღმზრდელები დაესწრნენ. ლოკაციად ხის დამუშავებული ქარხნის დასახლებაში მდებარე რესტორანი „თეთრი გედი" განისაზღვრა.

პირველად 91 წლის შალვა ამონაშვილი წარსდგა აუდიტორიის წინაშე. ის ლექციის განმავლობაში ფეხზე იდგა და აქტიურ კომუნიკაციას ამყარებდა დარბაზში მჯდომებთან. მან საუბარი იმერული ხუმრობისმოყვარეობით დაიწყო, გაგვიმხილა, რომ იმერელი მეუღლე ჰყავდა და სამეცნიერო მუშაობა გაიხსენა: „როცა კვლევითი მუშაობა დავიწყე პედაგოგიკაში, ვზრუნავდით, როგორ გარდაგვექმნა სწავლების სისტემა, რამდენიმე სკოლა ჩართული იყო ექსპერიმენტში, 5 დღიანი სწავლება ჩვენ შემოვიღეთ, 6 წლიანი ბავშვების მიღება ჩვენ შემოვიღეთ, განათლების პარალელურად უნდა მიმდინარეობდეს პიროვნების აღზრდაც, განვითარებაც, სკოლამ, სამწუხაროდ, ხელი დაიბანა აღზრდაზე, 60-70-80-იან წლებში საბჭოთა კავშირში გზიახი გამქონდათ ჟურნალ-გაზეთებს, რა ხდება საქართველოში, ყველაფერს ვერ ვამბობდით, რასაც ვიკვლევდით. მაშინდელმა მეცნიერებმა ჩვენს ნაკეთებ საქმეს ბურჟუაზიული პედაგოგიკა უწოდეს. პირველი ექსპერიმენტული სკოლა გაიხსნა, რომ ჩვენი კვლევები შემდგარიყო, იქიდან გამოგვასახლეს, მერე შეგვასახლეს."

მან ასევე გაიხსენა, როგორ გაბედულად უთხრა გურამ ენუქიძეს, პარტიულ ფუნქციონერს: „შალვა, ამ თეორიამ არ მოგიწონის ის ცხოვრება, რომელიც დღეს გაქვს". პასუხი ასეთი იყო: – შენ ძალიან შორს იყურები და ეს რას მოგცემს, არ იცით?

გამომსვლელმა დიდხანს ისაუბრა ჰუმანური პედაგოგიკის ორ ფუძემდებლურ პრინციპზე, სულიერებასა და სიყვარულზე, განსაკუთრებული პატივისცემით გაიხსენა ჩვენი განმანათლებლები, იაკობ გოგებაშვილი, ილია ჭავჭავაძე, დავით გურამიშვილი. თქვა, რომ ჰუმანური პედაგოგიკა გურამიშვილისეულ პოსტულატს ეფუძნება: „ყმაწვილი უნდა სწავლობდეს ხალ-ნობლად თავისაგან, ვინ არის, საიდამ მოსულა, სად არის, წავა საით?". ასევე მოუწოდა პედაგოგებს, წაიკითხონ წიგნი „ვეფხისტყაოსანი". გაკვეთილებით ილევიან, ატომს გავყვებით, ვიდრე ბავშვს აღვზარდოთ, აინშტაინის სიტყვები შეახსენა პედაგოგებს უთხრა, თუ რატომ მნიშვნელოვანია, სწორედ ნიჭიერი ცოდნისა და შესაძლებლობების მქონე ბავშვების წახალისება. ბავშვობა გაიხსენა და გვითხრა, მამით ობოლმა, მეექვსე კლასამდე დაბალი აკადემიური მოსწრების მქონემ, რამხელა სითბო იგრძნო პედაგოგ ვერა ვარდიაშვილისაგან. გაიხსენა, როგორ ცდილობდა ეს პედაგოგი, ყველა ბავშვში არსებული განსაკუთრებული უნარი წინ წამოეწია და მათი მოტივაცია აემაღლებინა, რასაც წარმოუდგენლად მაღალი შედეგები მოჰყვებოდა ხოლმე. ბატონი შალვას თქმით, თუ მასწავლებელი არ უყვარს, ნიჭიერ ბავშვსაც კი შესძულდება მისი საგანი. – პატივი ვცეთ ბავშვის უცოდინარობას– იანუშ კორჩაკის ეს სიტყვები მოიხმო. ბევრი ისაუბრა ბავშვის ფსიქოლოგიაზე, რომელიც მუდამ ისწრაფვის დიდობისაკენ, სურს გადაასწროს დროს. აი, ოქროს რჩევები პედაგოგებს: უნდა მოეშვათ ხმამაღალ საუბარს ბავშვთან, თუნდაც მან ანტიკვარული ვაზა გატეხოს, არ დააბეზღოთ თქვენი მოსწავლე მშობლებთან, ნუ მოსთხოვთ მშობელს, მან აღზარდოს შვილი სახლში, მოგიბრუნდება და გეტყვის", შენ გაქვს დიპლომი, მე კი არა, შენ უნდა აღზარდო".

„ჰუმანური პედაგოგიკის უპირატესობაზე ავტორიტარულთან შედარებით ისაუბრა პაატა ამონაშვილმაც. რომლის იდეითაც, კახეთში, ამონაშვილების მამულში სოფელ ბუშეთში ქალაქი „მზიანეთი" დაფუძნდა, რომელშიც ბავშვებისა და მშობლებისთვის დაუდგენილი საგანგებო კანონები მოქმედებს. იდეალურად მოწყობილ ამ დასახლებაში ბავშვები თავისას გამოიმუშავებენ, დიახ, ბავშვები და არა მშობლები, მშობლები და ბავშვები აქ როლებს ცვლიან, არც სიტყვა ბავშვი გამოიყენება, ბავშვი, მოქალაქეა. რომელიც დილით ადრე დგება, რომ სხვადასხვა აქტივობით დაკავდეს, მიდიოდეს პარლამენტის სხდომაზე, აირჩიოს სამსახური, ვთქვათ კაფე, სადაც მრავალი სახის ცოდნით აღიჭურვება: სწავლობს წყლის ხარისხზე ზრუნვას, ანგარიშს, კულინარიას და სხვა. თუ მას მშობლის აუზში ჩასვლა მოუნდება, თანხა შვილმა უნდა მისცეს, თუ მშობელი რეალურ ცხოვრებაში ბავშვს ყველაფერს უკრძალავს,













„მზიანეთში" შვილი მას დასვის და თანხას არ მისცემს. ბავშვები საკუთარი შრომით მოპოვებული ფულის დახარჯვას სწავლობენ. ამ უცნაურ მოდელს „მზიანეთისას" ბევრი მიმდევარი ჰყავს. ესაა ცხოვრების მინი-მოდელი, იგივე ცხოვრების რეპეტიცია. „მზიანეთში" მიისწრაფვიან უცხოელებიც და ქართველებიც, რომ მოისმინონ ტრენინგები აღზრდასა და პედაგოგიკაში.

მუნიციპალიტეტის მერი, დავით ბახტაძე:

„დღეს ერთ-ერთი შესანიშნავი დღეა, მადლობა ბატონ შალვას, რომ გვეწვია და ჰუმანური აღზრდის პრინციპებთან დაკავშირებულ ბევრ ხედვას გაგვიზიარებს, რაც ხელს შეუწყობს ჩვენი ახალგაზრდების ნიჭიერ, სრულყოფილ პიროვნებებად ჩამოყალიბებას. ჩვენს საზოგადოებაში, სადაც თანამედროვე ტექნოლოგიები საოცარი სისწრაფით ვითარდება, პედაგოგებს უდიდესი პასუხისმგებლობა გაკისრიათ, რომ აღზარდოთ ღირსეული მომავალი თაობა. ვიმედოვნებ, ბატონი შალვა, ერთი შეხვედრით არ ამოიწურება თქვენი სტუმრობა და თქვენთან სასიკეთო თანამშრომლობა გაგრძელდება".

საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსი, თინათინ ხარძიანი:

„მართლაც მნიშვნელოვანი დღეა, დიდი პატივია ჩვენთვის ბატონი შალვას და აკადემიის წევრების სტუმრობა. მან კიდევ უფრო სხვაგვარად დაგვანახა განათლების სფერო, გაგვაცნო ბევრი განსხვავებული შესაძლებლობა და შეგვახსენა მთავარი პრინციპი სწავლა-სწავლების, რომელიც სწორედ ჰუმანურ ურთიერთობებს უნდა ეფუძნებოდეს".

დარბაზში მყოფმა რამდენიმე პედაგოგმა „სამტრედიის მაცნეს" „მზიანეთში" გატარებული დაუვიწყარი დღეების შესახებაც უამბო.

დარბაზში მყოფების შეკითხვები, ძირითადად, შვილებთან გართულებული ურთიერთობების დალაგებას და სავალდებულო მეთოდების შერჩევას შეეხებოდა, ასევე გაამახვილეს ყურადღება პლანშეტებსა და კომპიუტერებთან მიჯაჭვულობის საკითხზე. „რამდენსაც არ ვუსმენთ ბავშვს, იმდენს არ გვისმენს ბავშვიც" – ასეთი იყო პაატა ამონაშვილის პასუხი იმ მშობლებისადმი, რომლებსაც ჰგონიათ, ბავშვთან ერთად თამაშით და მისი ინტერესების შესწავლით დროს კარგავენ. არასწორია, ბავშვს მობილური მიაჩეჩო, თავად კი სხვადასხვა სახის საქმე აკეთო! კი არ აუხსნათ, საკუთარი მაგალითით უნდა აჩვენოთ, რაა მისაღები და რა მიუღებელი. – ურჩია მშობლებს პაატა ამონაშვილმა.

ვფიქრობთ, დარბაზიდან გამოსული ყველა ადამიანი დადებითი ემოციებით იქნებოდა დამუხტული და გაითვალისწინებდა შალვა ამონაშვილის შეგონებებს: ავტორიტარი პედაგოგი თითს უქნევს, ავტორიტეტული კი, უჩვენებს.



# საკუთარი თავის რწმენა გამოცდილებაზე მეტად ეიმედებათ

თეა ბაბუნაშვილი

ისინი მოდიან! გზა მათია და ვერავინ შესძლებს შეაფერხოს. მოდიან ამაყები, წელში გამართულები, მოდიან შინაგანი თავისუფლებით და უზღვავი ენერგიით. და რაც ყველაზე მთავარია, მოდიან ცოდნით, ხვალ რომ სხვანაირი უნდა გახადოს სამშობლო, სხვანაირი, ანუ წარმატებული და ძლიერი.

ცხოვრებას ახალი საფეხურით იწყებენ, ჯერ ყველაფერი წინაა, ბავშვობიდან სიძნელეებთან შეჭიდებისა და დაძლევის სირთულეები და სიხარული მოჰყვებათ საგზლად. სწავლის მწარე ძირი კენწეროში უნდა გაუტკბილდეთ. მათ სჯერათ, რომ ასე იქნება და და ასეც იქნება, რადგან ეს ის თაობაა, საკუთარი თავის რწმენა წინა თაობების გამოცდილებაზე მეტად რომ ეიმედებათ. ამიტომაც, მომავალი მათია!

ცხელ ზაფხულს კიდევ უფრო უწევს ტემპერატურას აბიტურიენტების მოლოდინი, ეროვნულ გამოცდებში მიღწეული შედეგების დადებისას. ეს ზაფხულიც ამ მოლოდინის სასიამოვნო გამქლავნებით მიილია და ისინი, განსაკუთრებული მიღწევებით რომ გამოირჩევიან, მუნიციპალიტეტის მერიამ სააქტო დარბაზში შეკრიბა მადლობის განსხვავებული ფორმით სათქმელად.

ძალიან სასიხარულოა, რომ ცოტანი არ არიან, წელს 50%-იანი გრანტი 37, 70%-იანი 14, ხოლო 100%-იანი 10 სამტრედიელ მოსწავლეს ერგო.

მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის სამსახურის ორგანიზებით მოწყობილ შეხვედრაზე წარმატებულ აბიტურიენტებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ და ბევრი თბილი სიტყვა და გულითადი მილოცვა გაჰყვათ საგზლად.

"თქვენ ჩვენი ქვეყნის ხვალინდელი დღე ხართ. უმაღლესი სასწავლებლის კარის შეღებასთან ერთად, ახალი სამყაროს კარს შეაღებთ, ახალ ურთიერთობებს დაამყარებთ. ცოდნის მწვერვალები კიდევ უფრო მეტი გაქვთ დასალაშქრი." – მუნიციპალიტეტის მერი დავით ბახტაძე, საჩუქრების გადაცემის ცერემონიალის დაწყებამდე, აბიტურიენტებს მიესალმა. პედაგოგის ამპლუაში გატარებული წლების გამოცდილებიდან, გრანტოსნებს მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე ნუგზარ ჯამბურიამ მიულოცა წარმატებები და მათი პირველი თვალსაჩინო მიღწევის დანიშნულებაზე ისაუბრა, საკუთარი სკოლის, ოჯახის, მუნიციპალიტეტისა და ქვეყნის წინაშე: "ბედნიერების, სიკეთის და გამარჯვების გზის დასაწყისი ყოფილიყოს ეს პირველი დიდი წარმატება თქვენთვის. გეტყვით იმასაც, რომ საკმაოდ რთული იქნება ამ გზის ბოლომდე ასეთივე წარმატებით გავლა. მინდა, იმედი დავიტოვო, რომ კიდევ არაერთ სირთულეს მოერევით დასახული მიზნების მისაღწევად." ის, რომ სამტრედიელი მოსწავლეები არაერთი წელია განსაკუთრებული შედეგებით გამოირჩევიან ეროვნულ გამოცდებზე, მუნიციპალიტეტის რესურსცენტრის სპეციალისტის, ალექსანდრე თევზაძის მისალოცი სიტყვის ძირითადი თემა გახლდათ. თუმცა, როგორც მან აღნიშნა, წელს შედეგები განსაკუთრებით შთამბეჭდავია: "ჩვენი მუნიციპალიტეტის საგანმანათლებლო სისტემისთვის უცხო არ არის ეროვნულ გამოცდებზე და არა მხოლოდ აქ მიღწეული წარმატებები, მაგრამ წელს შედეგები განსაკუთრებით შთამბეჭდავია. ბევრი მოსწავლე სახელმწიფო გრანტს ვერ შესწვდა, მაგრამ სტუდენტი გახდა. ვულოცავ ყველა აბიტურიენტს სტუდენტობას, ქვეყნის საკეთილდღეოდ შრომაში კიდევ უფრო მეტისთვის მიეღწიოთ."

სიხარული განსაკუთრებით საჯარო სკოლების დირექტორებს ეტყობოდათ. "გულშემატკივრობდი ყველას, ჩემი სკოლის, ჩემი რაიონის მოსწავლეს, რადგან ჩემი ქვეყნის მომავალი, უპირველესად სკოლასა და უმაღლეს სასწავლებელში იჭედება. ბედნიერი ვარ ამ ახალგაზრდების წარმატებებით. ვულოცავ გრანტოსნებს და არა მხოლოდ მათ, ყველა სტუდენტს, მათ მშობლებსა და პედაგოგებს. ეს არ არის პატარა მიღწევა და უბრალო წარმატება." ერთი სოფლისთვის კარგი შედეგიაო და ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლის დირექტორმა, მანანა ხაზალიამ საკუთარი სკოლის მოსწავლეების მიღწევებზე ისაუბრა: "ყოველწლიურად გვახარებენ ჩვენი მოსწავლეები საკუთარი წარმატებებით ეროვნულ გამოცდებზე, მაგრამ წელს განსაკუთრებული შედეგები გვაქვს. ორი 100%-იანი, ერთი 70%-იანი, ხოლო ხუთი 50%-იანი გრანტის მფლობელი გახდა. ერთი სოფლისთვის, დიახ, კარგი შედეგია. მინდა აღვნიშნო, რომ ამ წარმატებაში სკოლის წვლილიც არის, თუნდაც პატარა, მაგრამ მაინც. სკოლის დამსახურებას ხაზი უნდა გავუსვათ!" ეს სიტყვები, რეპეტიტორების ინსტიტუტის განსაკუთრებული აღზევების ფონზე, სამართლიან სარკაზმშერეულ განცხადებად შეიძლება ჩაითვალოს. საკუთარი სკოლის მიღწევებზე საუბრობდა მეთერთმეტე საჯარო სკოლის დირექტორი ნანა მანჯგალაძე: "უცხო არ არის ჩვენი სკოლისთვის ამგვარი მიღწევები, მაგრამ წელს განსაკუთრებით იბრწყინეს ჩვენმა მოსწავლეებმა. მინდა გზა დავულოცო ყველა მათგანს და მათი წარმატება ჩემი სკოლის პედკოლექტივსაც მივულოცო."

"საუკეთესო სურვილებს განსაკუთრებული სიამაყის გრძნობა ახლავს, რადგან ამ წარჩინებული მოსწავლეების რიგში ჩემი სკოლის კურსდამთავრებულებიც არიან". – აღნიშნა კულტურის სამსახურის უფროსმა ნატო მანჯგალაძემ და ყველა გრანტოსანი სცენასთან მიიწვია სიმბოლური საჩუქრების გადასაცემად. ისინი მუნიციპალიტეტის მერმა საკრებულოს თავმჯდომარესთან ერთად გადასცა აბიტურიენტებს.

100%-იანი გრანტის მფლობელთა ათეულში, პირველი საჯარო სკოლიდან ლუკა კიკაჩეიშვილი, მეორე საჯაროდან თამთა კვაჭაძე, მეცხრე საჯარო სკოლის მოსწავლე, მარიამ მაქაცარია, მეოთხე საჯაროელი ირინე გაშაკიძე, მეთერთმეტე საჯარო სკოლის კურსდამთავრებულები, ნინო ხანიკიძე, ლუკა კანდელაკი, ბესიკ თევზაძე და გიორგი ტორონჯაძე, დიდი ჯიხაიშის პირველი საჯარო სკოლიდან ორი აბიტურიენტი, ანა კაზიშვილი და ნინო ხარაბაძე არიან.

არა მხოლოდ როგორც დირექტორს, როგორც მშობელს მიულოცეს ხათუნა ფაილაძეს, რადგან მისი ვაჟი გრანტოსანთა ათეულშია. განსაკუთრებულ სიხარულს ვერ ფარავდა რობერტ ტორონჯაძე, ამ ათეულიდან ერთ-ერთის ბაბუა. იგი შვილიშვილის მაგიერ გახლდათ მისული საჩუქრის მისაღებად. გამოხატული სითბოსთვის მადლობა გადაუხადა დამსწრე და არა მხოლოდ დამსწრე საზოგადოებას, ლუკა კანდელაკმა, რომლის ემოციები სოციალურ ქსელში უამრავი თბილი კომენტარის საბაბად იქცა.





















# ფესტივალის დაუვიწყარი 3 დღე ჩვენს ქალაქში

ნათია ნაცვლიშვილი

სამტრედიის პირველ საჯარო სკოლაში, რამდენიმე წელია, აქტიურად მუშაობს სინედოკ კლუბი, სინედოკ სკოლა არის დოკუმენტური კინო-კლუბი სკოლაში, რომელიც სულ ერთი წელია ფუნქციონირებს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგის, ეკატერინე შეანგირაძის ხელმძღვანელობით. სინედოკ სკოლის მენტორი მასწავლებელი, ქალბატონი ეკა კლუბელებს ურჩევს მათთვის საინტერესო ფილმებს, მათი ნახვის შემდეგ მოსწავლეები მსჯელობენ, აწყობენ დისკუსიებს, წერენ ესეებს, დოკუმენტური კინო ყველაზე მოკლე გზაა რეჟისორის სათქმელის მაყურებლამდე მისატანად. სინედოკი ქმნის დაუვიწყარ, ჯანსაღ ემოციებს, მოსწავლეები პირდაპირ თუ ონლაინ რეჟიმში წლის განმავლობაში უყურებენ ქართული და უცხოური რეჟისორების მიერ გადაღებულ ფილმებს. ამ მუშაობის ერთგვარი გრანდიოზული დაგვირგვინება იყო ჩვენს მუნიციპალიტეტში გამართული სინედოკის საზაფხულო მინი ფესტივალი, რომელმაც სამტრედიის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების ბევრი მოსწავლე გააერთიანა და ყოველ მათგანს შთამბეჭდავი დღე აჩუქა!

ღონისძიების ლოკაცია სამტრედიის კერძო ბაღის, "ლოლუს" სივრცე იყო, ფესტივალის ორგანიზატორები კი, ეკატერინე შეანგირაძესთან ერთად, იყვნენ მუსიკის პედაგოგი სოფიო ახობაძე, სახვითი ხელოვნების პედაგოგი, მარიკა გაგუა, ისტორიის პედაგოგი კახა გალდავა და ბაღ "ლოლუს" ხელმძღვანელი, თეონა ჩანქსელიანი. ამ საპილოტე - ფესტივალის სამივე დღე ბავშვებისთვის ძალზე საინტერესო აქტივობებით იყო დატვირთული. ფესტივალი ეკატერინე შეანგირაძემ გახსნა და შეკრებილთ სინედოკ კლუბის დაარსებისა და მუშაობის ისტორია შეახსენა, გაგვაცნო აქტიური მოსწავლეები, რომელთაც ამ კლუბის წევრობით არაერთი საინტერესო პროექტი განახორციელეს, წერდნენ ესეებს ნანახი ფილმების შემდეგ, აწყობდნენ დისკუსიებს, იღებდნენ ფილმებს საქართველოს უახლესი ისტორიის მნიშვნელოვან თარიღებზე 1989 წლის 9 აპრილისა და 1978 წლის 14 აპრილის შესახებ. ამ კლუბის შემოქმედებითი მუშაობის ისტორია აუდიტორიის წინაშე ვიდეორგოლის სახითაც წარმოადგინეს.

სინედოკის საზაფხულო მინი ფესტივალის პირველ დღეს აჩვენეს ფილმები "კაიაკი" (ეს სიტყვა თევზით ტვირთის გადაზიდვას ნიშნავს) და "ცხოვრება სანაპიროა". პირველი მათგანი ბავშვთა უფლებებს ეხება და 8 წლის აფრიკელი გოგონას, ბამუნეს მძიმე შრომას ასახავს, რომლის ნაცრისფერი სამყაროც მშობლების უსულგულო დამოკიდებულების ფონზე კიდევ უფრო მძიმდება! მეორე ფილმი მოსწავლეების მიერაა გახმოვანებული და შედარებით ნაკლებად დამთრგუნველია, ვიდრე "კაიაკი". აქ ნაჩვენებია პატარა ბიჭის ცხოვრება, რომელიც, ლუკმა პური რომ იშოვოს, სერფინგით არის გატაცებული, მთელ დღეებს სანაპიროზე ატარებს და ხალხს სხვადასხვა სახის მომსახურებას სთავაზობს. ის მასწავლებლის შეგონებით სკოლაში განათლების მიღებას გადაწყვეტს! იმ დღეს სტუმრად იყო მოწვეული ბავშვთა მეურვეობისა და მზრუნველობის ორგანოს წარმომადგენელი ლალი კაშია, რომელმაც ბავშვთა უფლებების დარღვევის უსამართლობაზე ისაუბრა. ასევე ისაუბრა კახა გალდავამ, ბავშვთა უფლებების მიმართულებით მომუშავე ორგანიზაციის "სიკეთის რევოლუციის" დამფუძნებელმა.

ფილმების შემდეგ დისკუსიაში აქტიურად ჩაერთვნენ როგორც პირველი საჯარო სკოლის,ასევე მუნიციპალიტეტის სხვა სკოლების მოსწავლეები: ლიზი მიქაძე, მიხეილ კალაძე, ნინო ნოგოვაძე, მათე კიზიკაძე, ანდრია ლაღანიძე, საბა კოკვაძე, გიორგი კოლოკოლნიკოვი, ვახო და საბა ლასარეიშვილები, ავთანდილ ადეიშვილი, ბარბარე ხურციძე, ნიკო ჭანჩაკია, ნინო ქავზინაძე, მარიამ ახობაძე, მონიკა შუბლაძე, თამარ კონწლიაშვილი, ბაკო შენგელია, ანასტასია სპირანტი, ანასტასია სუსარეიშვილი, გიორგი ჭაფოძე, ნინო მიქელთაძე.

ღონისძიების პირველივე დღეს შემოუერთდნენ ფესტივალს სინედოკ სკოლის დამფუძნებელი არჩილ ხეთაგური, ილიანა სტანკულესკუ, ფსიქოლოგი ქეთი ცირეკიძე და ოპერატორი ვანო თვაური. ფესტივალის მონაწილეებმა მათთან ერთად უამრავი საინტერესო ერთობლივი აქტივობა განახორციელეს.

ფესტივალის მეორე დღეს ნაჩვენები იყო ფილმები "ჩემი თმა" "გამჭვირვალე სამყარო", სინედოკ თბილისის დამფუძნებლებმა, არჩილ ხეთაგურმა და ილიანა სტანკულესკუმ მოსწავლეებს შესთავაზეს ვორკშოპი დოკუმენტური კინოს გადაღების შესახებ.

ფესტივალის მესამე დღეს მონაწილეებს ესტუმრნენ ორგანიზაციის "ხიდი სოციალური ინკლუზიისათვის" წარმომადგენლები და მოკლე ფილმის "თორმეტი გაკვეთილი" ჩვენება. ძალიან გაახარა ფესტივალის მონაწილე ბავშვები ფილმის რეჟისორის, გიორგი მრევლიშვილის ვიდეოჩართვამ და გასაუბრებამ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, რომ ყოველი ფილმის ჩვენების შემდეგ იმართებოდა თემატური დისკუსია, მოსწავლეები თავიანთ მოსაზრებებს აუდიტორიის წინაშე გამოთქვამდნენ და ემოციებს გამოხატავდნენ. ასევე მნიშვნელოვანია, რომ ამავე ფესტივალის ფარგლებში, სხვადასხვა სკოლის მოსწავლეთა მიერ, გახმოვანდა ფილმი, რომელსაც საზოგადოება ერთ თვეში იხილავს.

ღონისძიების მესამე დღეს პროექტი დადებითად შეაფასეს ფესტივალის სტუმრებმა, მუნიციპალიტეტის მერის მოადგილემ, გიორგი მეიშვილმა და საგანმანათლებლო რესურსცენტრის უფროსმა, თინათინ ხარძიანმა.

"სამტრედიის მაცნე" ფესტივალის ორგანიზატორს, ეკატერინე შეანგირაძეს ესაუბრა. ეკატერინე შეანგირაძე: "განსაკუთრებით სასიხარულოა, რომ ამ საპილოტე ფესტივალმა გაამართლა, რაც ორგანიზატორების თანადგომისა და ერთიანობის დამსახურებაა, სინედოკ სკოლამ უდიდესი ინტერესი გამოიწვია ჩვენს მუნიციპალიტეტში. რაც მომავალში სკოლებს შორის თანამშრომლობით გაგრძელდება. მალე სინედოკ სკოლა მე-6 საჯარო სკოლაშიც დაფუძნდება და მენტორი მასწავლებელი ნინო ჭყალაძე იქნება.

კიდევ ერთხელ უდიდესი მადლობა მინდა ვუთხრა თანადგომისათვის პირველი საჯარო სკოლის დირექტორს, ხათუნა ფაილაძეს, სკოლის მოსწავლეებს, ყველა იმ ადამიანს, ვინც ფესტივალს შემოუერთდა









# “ ყოჩაღ სამტრედიას, რა კარგი ექიმი ჰყოლია! ”

ქეთევან ჯელიძე

*ჩემი პირადი განწყობა მისადმი ობიექტურ დამოკიდებულებას არ ცვლის. სასიამოვნოა, რომ ერთიცა და მეორეც თანხვედრაშია იმ ადამიანის შეფასებისას, რომელიც ძალიან მიყვარს მე და უყვართ სხვებსაც. აღიარებენ მის პროფესიონალიზმს და ჟიმედებით. ვისაც ერთხელ მაინც თუ მიუმართავს, შელახული ჯანმრთელობის გამო, სამტრედიის "ჯეო-ჰოსპიტალსის" მრავალპროფილურ სამედიცინო ცენტრში რენტგენოლოგ ხათუნა ქიმშარიასთვის, ამაში ყველა დამერწმუნება. ექიმი, რომლის სწორ დასკვნებზე ბევრადაა დამოკიდებული პაციენტის შედეგიანი მკურნალობა. ამიტომაცაა საკუთარი თავისადმი უშეღავათო მომთხოვნი და სკრუპულოზური. "ყოჩაღ სამტრედიას, ეს რა კარგი ექიმი ჰყოლიათ!" – აღფრთოვანება ვერ დაუფარავთ პროფესორებს დედაქალაქში, როცა მის მიერ დაწერილ დასკვნას გასცნობიან. ასეთი ფაქტები მის პროფესიულ საქმიანობაში არც თუ ცოტაა. ის ყოველთვის დგას პაციენტების ჯანმრთელობის სადარაჯოზე – თითქოს ბანალურად ჟღერს, მაგრამ ასეთია რეალობა.*

გადატვირთული გრაფიკის მიუხედავად მას ყოველთვის შეუძლია უპასუხოს პაციენტის სატელეფონო ზარს, ყურადღებით მოუსმინოს, რჩევა მისცეს, გაამხნევოს და დაამშვიდოს. ექიმობა ძნელია, – ამბობს, მაგრამ, მისი აზრით, თუ "პაციენტი გიყვარს, გიყვარს შენი საქმე, ხარ გულისხმიერი და ინტუიციაც გაქვს, მაშინ კარგი ექიმი ხარ".

ხშირად პაციენტზე ფიქრაყოლილს ძილი გასტეხია, მორიგე ექთნისთვის რენტგენის სურათის სახლში გამოგზავნა უთხოვია. მის მიერ დაწერილი დასკვნის სისწორეში ერთხელ კიდევ დასარწმუნებლად შუაღამით საავადმყოფოშიც მისულა. საქართველოს შემთხვევაში არასამუშაო დღეები სამსახურშიც გაუტარებია.

"თუ ასი პროცენტით დარწმუნებული არ ვარ, რომ ჩემს მიერ დაწერილი დასკვნა სწორია, ვერ მოვისვენებ. ასეც ხდება, როცა რენტგენის სურათი გადაღებული დაუხვეწრებიათ, დათვალიერების შემდეგ უკმარისობის გრძნობა გამჩენია და ავადმყოფი გადასაღებად თავიდან დამიბარებია. სხვანაირად არ შემიძლია. ჩემს დასკვნაზე აგებს ექიმი მკურნალობას, ამიტომ შეცდომა დაუშვებელია", – გვიხსნის ხათუნა ექიმი. შეცდომისგან დაზღვეული არავინაა და მათ შორის ისიც. "მსოფლიოში არ მეგულება ისეთი სპეციალისტი, თუნდაც "ლაურა" ან, გნებავთ, კორიფეები, არაფერი შეშლოდეთ. შეუმცდარი ჩემთვის მხოლოდ ღმერთია. როგორ ვიტყვი, რომ არ შემშლია. მაგრამ მადლობა უფალს, ისეთი შეცდომა არ დამიშვია, რასაც ცუდი შედეგი მოჰყოლოდა", – გვიზიარებს თავის აზრს.

ქალბატონი ხათუნა ქიმშარია სამტრედიელია. ოჯახში, სადაც ორი გოგონა იზრდებოდა, სწავლა და განათლების მიღება პრიორიტეტი გახლდათ. რუსული ენის კარგად დაუფლების მიზნით მშობლებმა ის სამტრედიის რუსულ საშუალო სკოლაში შეიყვანეს. ექიმი გამხდარიყო, არასდროს უოცნებია. სურდა პედაგოგი ყოფილიყო და თანაც, ბიოლოგიის. წლებთან ერთად გადაწყვეტილება შეიცვალა, მშობლების რჩევას დაჰყვა და სკოლის დამთავრების შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო აკადემიაში ჩაირიცხა.

"შეიძლება ჩემი ნათქვამი ცინიზმ გააპროტესტოს", – გვეუბნება იგი, – "მაგრამ რუსულ სკოლაში სწავლა ძალიან დამეხმარა, არამარტო პრაქტიკულ სასწავლებელში ჩაბარებისას.სამედიცინო ლიტერატურაც, ძირითადად, რუსულ ენაზე არსებობდა. როცა მესამე კურსის დასრულების შემდეგ თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტში გავაგრძელე სწავლა, იქაც რუსულენოვანი წიგნებით ვსარგებლობდით. ქართულ ენაზე მწირი იყო ლიტერატურა. ვთარგმნიდი და მეგობრებსაც ვეხმარებოდი".

ყველა მშვიდობისმოყვარე ადამიანის მსგავსად ქალბატონი ხათუნა შეძრწუნებულია რუსეთის ქმედებით უკრაინაში. სჯერა, რომ ყველა რუსი ერთნების რიგითი



ადამიანის პოზიცია ასეთი არ არის. იგონებს სტუდენტობის წლებს და იმ სიკეთეს, რასაც მისი თანაკურსელები მის მიმართ იჩენდნენ.

"სტუდენტი ვიყავი, როცა ვიქორწინე. შვილი, ზურა, ორენბურგში შემეძინა, სწავლა და ბავშვის მოვლა ძალიან ძნელი იყო. მიუყვდი ერთხელ დაგვიანდი ინსტიტუტიდან და სახლში დამხვდა ჯგუფელი ჩემს ჯგუფელებთან ერთად. მითხრა, თვითონაც პატარა ხარ, კიდევ ასეთი პატარა გყავს და დაგეხმარებით. გადაწყვიტეს, მორიგეობა შემოეღოთ და ყოველდღე 3-3 გოგონას საქმე გადაენაწილებინა, თანაც მეცადინეობაშიც დამხმარებოდნენ. მაგრამ როცა ბინა დაქირავებული გაქვს, ეს შეუძლებელია. ორი გოგონა მაინც მოდიოდა და მეხმარებოდა. სამოვლოდ იძულებული გავხდი, საქართველოში დავბრუნებულიყავი, რასაც დღემდე ვნანობ, რადგან იქ ბევრად მაღალი სტანდარტი იყო ცოდნის მიღების" – გვიყვება ჩვენი რესპონდენტი.

ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ ხათუნა ქიმშარია სამტრედიის ტუბდისპანსერში იწყებს მუშაობას. ეს შემთხვევით მოხდა, დასძენს, მაგრამ ამ შემთხვევითობამ განსაზღვრა შემდეგში მთელი მისი საქმიანობა. იმ პერიოდში ტუბდისპანსერის მთავარი ექიმი, გამოცდილი რადიოლოგი ვილიკო ქავზინაძე სპეციალობით მუშაობას თავს ანებებდა და მხოლოდ ხელმძღვანელის პოსტზე რჩებოდა. მან შესთავაზა ახალბედა ექიმს, რომელსაც პედიატრის ლიცენზია ჰქონდა, რენტგენის დაუფლებოდა.

"რატომღაც დავრჩი, გავიარე საკვალიფიკაციო კურსები, ჩავაბარე სალიცენზიო გამოცდები და დაღეწყე მუშაობა რენტგენოლოგად. დღემდე მადლობელი ვარ ქალბატონი ვილიასი. მან შემასწავლა რადიოლოგიის ანბანი, საოცარი ადამიანი იყო, კვალიფიციური სპეციალისტი. დღეს უკვე ის აღარ არის, ისე როგორც სამტრედიაში ცნობილი რენტგენოლოგები, მაყვალა გელეიშვილი და ეშხა კოპალეიშვილი.



"შემდეგ ნელ-ნელა გავიღრმავე ჩემი ცოდნა და გამოცდილებაც მივიღე. საერთოდ, რაც უნდა ისწავლო, შენი ხედვა, შენი გამოცდილება სულ სხვაა". – ამბობს ხათუნა ექიმი.

ცოდნას სახელი და ცნობადობა მოჰყვა. დღეს იგი ნდობით აღჭურვილი ექიმია, რომელიც ავტორიტეტით სარგებლობს კოლეგებსა და პაციენტებს შორის.

როცა მადლობას და თბილ სიტყვებს უგზავნიან, ეუხერხულება, ასეთი რა გავაკეთე, ზედმეტად ხომ არ მახასიათებენო და მათ წინაშე თავს დავალებულად გრძნობს.

განსაკუთრებით ძნელად გასახსენებელია ხათუნა ქიმშარიასთვის კოვიდ-19-ით დამძიმებული პერიოდი. როცა ყველაფერი ჩარჩოებს გასცდა, სიკვდილ-სიცოცხლის ჭიდილი ყოველდღიურ, მეტიც, ყოველწუთიერ ფაქტებად იქცა. 12 საათიანი დაძაბული სამუშაო დღის მიუხედავად, კაბინეტის კართან 100 კაციან რიგებში მომლოდინე პაციენტების ხმაური, ხმამაღლა გამოთქმული დაუმსახურებელი პრეტენზიები უკიდურესად ართულებდა მუშაობას.

"ყოველდღე ომში ვიყავით". – იგონებს ქალბატონი ხათუნა, – "ნერვები, ყვირილი, წივილ-კივილი – ყველაფერი იყო. ხმაური ხელს გიშლის მუშაობაში, მაგრამ ამას მათ ვერ აგებინებ. მესმოდა მათი და მაქსიმალურად ვითმენდი. უკარდათ, ყველას შემოსვლა და დახმარება უნდოდა. ერთმა ისიც მოგვაძახა: ცვას კი ხვამოთ! ფიას კი არა, წუალსაც ვერ ვსვამდით. სურვილიც არ მქონდა. სპეციფორმა გვეცვა და ვირუსისგან დაბინძურებულები ვიყავით. ზოგჯერ, როცა მოთმინება ამომწურებოდა, თავს ვეღარ ვიკავებდი, მერე კი ვწუხდებოდი, მაგრამ წარმოიდგინეთ, შუქი წავა და შენ გესხმიან. რიგი არ მიდის სწორად და შენ გაბრალებენ. ეს ჩემი საქმე არაა. პასუხისმგებელი მე მხოლოდ იმაზე ვარ, რაც ჩემს კაბინეტში ხდება.

მე ერთადერთი არ ვიყავი, ვინც ასე მუშაობდა. ჩემი კოლეგების უმრავლესობა მსგავს რეჟიმში იმყოფებოდა. მინდა გითხრათ, რომ ძალიან კარგი, კოლეგიალური და მეგობრული კოლექტივი გვყავს. გვყავს ახალი ხელმძღვანელიც. სულ ცოტა ხნის წინ საავადმყოფოს მთავარი ექიმის პოსტზე ბატონი გიორგი კუხიანიძე დაინიშნა. დატვირთულები მაშინაც ვიყავით, როცა ლორის გრიპი მძვინვარებდა, მაგრამ ახლა სულ სხვა იყო. არასდროს დამავიწყდება პირველი კოვიდიანი პაციენტის ფილტვი. განსვენება არ მინდა, საშინელება იყო... ვუყურებ და ხედები, ვის რა ელის. 20 წლის მასალაზე მსგავსი არაფერი მინახავს".

როცა თვითონაც დაინფიცირდა, მუშაობა მაინც არ შეწყვეტა: შემეძლო და როგორ გავჩერდებოდი. თბილისის ერთ-ერთ საავადმყოფოში ოპერაცია რომ გაიკეთა, მაშინაც დროზე ადრე გადიდა სამსახურში: ცოდვაა ჩემი გოგონები, კაბინეტში ბევრი საქმე დაგროვდა. გოგონები კი მისი ექთნები არიან, მარიამ კოპალეიშვილი – ყველაზე ასაკოვანი ქალბატონი.

"არაჩვეულებრივი ადმინისტრაცია ჩვენი მადონიკო (ასე მოფერებით ვეძახით)". – ახასიათებს მას ქალბატონი ხათუნა, აღფრთოვანებულია მისი პასუხისმგებლობითა და მონდომებით, რომელმაც შეძლო და თანამედროვე ციფრული რენტგენის აპარატზე მუშაობასაც დაეუფლა. თბილ სიტყვებს არც ექთნების, ნინო რუხაძის, თამარ იობაძისა და ხა-



თუნა გეგეშიძის მიმართ იშურებს. ნინო და თამუნა არამარტო რენტგენის იდებენ, კარგი სპეციალისტებიც არიან. კომპიუტერის პასუხებს კი თბილისში პროფესიონალი გიორგი ნემსაძე წერს.

თვლის, რომ ექიმის სიტყვას დიდი ძალა აქვს. კომუნიკაციას დიდ მნიშვნელობას ანიჭებს, რაც ძალიან ეხმარება პაციენტებთან ურთიერთობაში.

დღეს, როდესაც მატერიალური ერთად ბევრი ადამიანური ღირებულებების დეფიციტია, განსაკუთრებით ახარებს ხათუნა ექიმს იმის დანახვა, ასაკიან პაციენტებზე როგორ ზრუნავენ შვილები. "განსაკუთრებით ბიჭები. იმდენად მხიამოვნებს, გულში სულ ვლოცავ. ხომ მშვიდობაა ექიმო, – შეშინებული მეკითხებიან. ჰილტრი და ნაზითის დაუკავშებ დედის. ჩაიცმევს, ეფერება. ამაზე სასიამოვნო რა უნდა იყოს. საოცარი სანახავია, მთელი დღე დადებითად ვარ გახუხტული".

ყველაზე მთავარი მიღწევა ხათუნა ექიმის ცხოვრებაში მისი ერთადერთი ვაჟი, ზურა ბუბაშვილია და ახლა უკვე რძალი, ქეთევან ჩქარეული. "არაჩვეულებრივი რძალი მყავს, გული საგულეს მაქვს, ლამაზი და ყოველმხრივ დახვეწილია. შვილივით მიყვარს. ვგრძნობ, მასაც ვუყვარვარ. მადლობა ჩემს შვილს ასეთი კარგი არჩევანისთვის". – ბედნიერებას ვერ ფარავს ხათუნა ქიმშარია და გვარწმუნებს, რომ მათთვის მთებს გადადგამს.

ზურა და ქეთევანი პროფესიით სტომატოლოგები არიან, თბილისში ცხოვრობენ და პრესტიჟულ კლინიკებში მუშაობენ.

ქალბატონმა ხათუნამაც სიყვარულით შექმნა ოჯახი. სრულიად ახალგაზრდამ იქორწინა კახა ბუბაშვილზე. ბატონი კახა პროფესიით ვეტექიმია.

"ჩვენმა ოჯახმა!" – ეს ხათუნა ექიმის ცხოვრების ერთ-ერთი დევიზია, რასაც ყოველთვის შთააგონებდა შვილს სჯერა, რომ როცა კარგ მეგობრის მისცეს ვინმეს და ბოროტებას ბოროტებით არ უპასუხებ, შეიძლება ისიც გაკეთილშობილდეს.

სურვილსა და მოვალეობას შორის ის უპირატესობას მოვალეობას ანიჭებს და მისთვის სრულებითაც არ არის სულერთი, მასზე რას იტყვიან. არც არასდროს უცხოვრია ერთი დღით: "ხვალ რაღაც იქნება, ასე არ ვცხოვრობ. რამდენიმე წლით ადრე შემიძლია რაღაც განვჭვრიტო და დავგეგმო". მართალი და გულწრფელია იგი. უამრავი მეგობარიც ახვევია გარს. შეუძლია ყველაფერი გააკეთოს მათთვის. განსაკუთრებით მაია კახიანზე საუბრობს, რომელთანაც მეგობრობისა და თანამშრომლობის 22 წლიანი პერიოდი აკავშირებს. როგორც საუკეთესო პიროვნებასა და პროფესიონალს ისე ახასიათებს მას. ვილია ქავზინაძის გარდაცვალების შემდეგ იგი წლების განმავლობაში ხელმძღვანელობდა სამტრედიის ტუბდისპანსერს.

ქალბატონი მაიას დახასიათებით კი "ნიჭიერი, პროფესიონალი, გულისხმიერი – არაერთხელ ნათქვამი ეს სიტყვები ხათუნასთვის შექება არაა. ის მართლაც არის გამორჩეული ადამიანისადმი გულისხმიერებითა და ერთგულებით. ექიმო, შენმა სიტყვამ მომარჩინაო, – მასზეა ნათქვამი. იგი საიმედო დასაყრდენია არამარტო სამტრედიელებისთვის. მისი დასმული დიაგნოზი უტყუარია და არაერთი პაციენტი გადაურჩენია. მეტიც, არასწორად შეფასებული მდგომარეობაც სწორად შეუფასებია და აქაც გადაურჩენია ადამიანის სიცოცხლე. მე, როგორც ფთიზიატრს, ძალიან მეხმარება ტუბერკულოზის გამოვლენაში.

გვეამაყება და გვეამაყება, რომ რაიონს ასეთი პროფესიონალი, გულისხმიერი ექიმი ჰყავს."

მშვიდობიან საქართველოში ცხოვრების სურვილი აქვს ხათუნა ექიმს. "უფლის წყალობა არ მოაკლდებოდეს ჩვენს ხალხს, სიმართლით ვცხოვრობ!" – ასეთია მისი პოზიცია. – "ჩემს ახალშეუღლებულ შვილებსაც ასე ვუთხარი: სიმართლით ვცხოვროთ-თქო. იქ, სადაც სიმართლეა, გამორიცხულია, იდეალური ოჯახი არ შეიქმნას, თუნდაც მეტი კომფორტულიც იყოს სიმართლე. ასეთ შემთხვევაში ოჯახიც ჩამოყალიბდება და სახელმწიფოც. წარმოიდგინეთ, როგორი ბედნიერები ვიქნებოდით, ყველგან სიმართლე რომ სუფევდეს!"

# "ჩემო ტკბილო სამტრედია" – ჰიტად ქცეული სიმღერა




ნათია ნაცვლიშვილი

ძალზე წარმატებული აღმოჩნდა პოეტ ზოია გაშაკიძისა და კომპოზიტორ ნუგზარ თუშიშვილის შემოქმედებითი ტანდემი სამტრედიისათვის. ორი ჭეშმარიტი ხელოვანი ერთმანეთთან სამტრედიაზე სიმღერის შექმნის სურვილმა დააკავშირა, საქვეყნოდ ცნობილმა და აღიარებულმა კომპოზიტორმა პოეტის ლექსი მოიწონა და შესანიშნავი მელოდიაც შექმნა. "ჩემო ტკბილო სამტრედია" ამ სახელწოდების სიმღერას იუთუბ არხზე ადვილად იპოვით.

იმერეთის ამ კოპწია ქალაქზე უამრავი სიმღერა შექმნილა, მაგრამ ეს სიმღერა მაინც გამორჩეულია. მისი წარმატება იმ დიდმა სიყვარულმაც განაპირობა, რომელიც სამტრედიის ღირსეულ შვილებს ამ ქალაქთან აკავშირებთ! მსახიობმა დავით კვირცხალიამ და დემურ ჭაფაძემ მოისმინეს თუ არა სიმღერა, გადაწყვიტეს, მისთვის ახალი სიცოცხლე მიეცათ – სტუდიაში ჩაეწერათ და იგი საუკეთესო ანსამბლს შეესრულებინა. ღირსეული სამტრედიელის, კახა შენგელიას ფინანსური და მორალური თანადგომით სიმღერა ჩაიწერა. კომპოზიტორმა სიმღერის შესრულება ეროვნულ საგანძურად ქცეულ ანსამბლს, "ქართულ ხმებს" მიანდო, სოლისტი აწ განსვენებული გურამ თამაზაშვილი გახლდათ. ასეთი დიდი პატივი ერგო პატარა, მაგრამ დიდი კულტურის და შემოქმედების მქონე ქალაქს!

წლებია, სამტრედიაში, საიუბილეო დღეებში ისმის ეს ლამაზი სიმღერა. "სამტრედიის მაცნე" სიმღერის კომპოზიტორსა და ტექსტის ავტორს დაუკავშირდა, რათა მათთგან მოგვესმინა სიმღერის შექმნის ისტორია.

ნუგზარ თუშიშვილი: "1994 წელს ქალბატონ ზოია გაშაკიძის ლექსზე შევქმენი სიმღერა "ჩემო ტკბილო სამტრედია". ქალბატონი ზოიას ლექსმა მთამაგონა ამ მუსიკის შექმნა. შემდეგ ეს სიმღერა შევასრულე ქალაქ სამტრედიაში როიალთან, ტექსტის ავტორის საღამოზე, რომელმაც დამსწრე საზოგადოების ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა. მას შემდეგ ბატონმა გურამ თამაზაშვილმა შეასრულა ეს სიმღერა, "ქართულ ხმებთან ერთად" სამტრედიის იუბილეზე! ვფიქრობ, გაამართლა ამ სიმღერამ, რადგან ძალიან დიდი მოწონებით ხვდებიან ფართო საზოგადოებაში".

ზოია გაშაკიძე: "სამტრედიაზე შეყვარებული ვარ, ყმაწვილქალობა იქ გავატარე, მიყვარს სამტრედიელები და შევქმენი მათთვის სიმღერა, მე და ნუგზარი ერთად ვმუშაობდით მოსწავლე-ახალგაზრდობის სასახლეში, მე ნორჩ შემოქმედთა სექციას ვხელმძღვანელობდი, ნუგზარი – მუსიკაში ავარჯიშებდა ბავშვებს. ვუთხარი: ნუგზარ, ძალიან მინდა ჩემი სამტრედია გავახარო-მეთქი და მართლაც დავუწერე სიმღერა, რომელიც 2003 წელს, ჩემს შემოქმედებით საღამოზე მწერალთა კავშირში შეასრულა, დარბაზში ისხდნენ დათო კვირცხალია, დემურ ჭაფაძე და სამტრედიის რამდენიმე კოლორიტი. მათ უთქვამთ, ეს სიმღერა აუცილებლად სტუდიაში უნდა ჩაიწეროსო. ეს განწყობა მათ კახა შენგელიას გაუზიარეს. მინდა მადლობა გადავუხადო ამ ადამიანს, რომელმაც დააფინანსა ამ სიმღერის ჩაწერა და რომ არა ის, სიმღერა ასე პოპულარული არ იქნებოდა! მადლობა მათ, ვისი ძალისხმევითაც სიმღერა ქვეყანამ გაიცნო, რომ არა ისინი, სიმღერა ჩემს ტექსტზე შექმნილი სხვა სიმღერების ბედს გაიზიარებდა. ნუგზარმა ჩემს ლექსზე შესანიშნავი სიმღერა შექმნა თბილისზეც. მაგრამ მისი ჩაწერა ვერ მოხერხდა. გურამ თამაზაშვილის, სიმღერის სოლისტის დაკრძალვაზე სანთლით რომ მივედი, ოჯახის წევრებმა ვერ მიცნეს, გულისტკივილით აღსავსემ გამოვთქვი ჩემი უდიდესი მადლიერება ამ შესანიშნავი მომღერლის მიმართ.

1997 წელს, ჩემს საიუბილეო საღამოზე, სამტრედიაში დელეგაციასთან ერთად სტუმრად იმყოფებოდა ნუგზარ თუშიშვილი. მან როიალზე შეასრულა ეს სიმღერა. როგორც ვთქვი, მალე სიმღერა ჩაიწერა და ახალი სიცოცხლე შეიძინა! სამტრედიის 135 წლის იუბილეზე ნუგზარმა, შესანიშნავმა კომპოზიტორმა თავადვე შესთავაზა ქართულ ხმებს სიმღერის შესრულება! ასევე მინდა აღვნიშნო, რომ ნუგზარმა ბრწყინვალე მუსიკა დაწერა ჩემს ტექსტზე, რომელიც მშობლიურ ჯიხაიშს მივუძღვენი, იგი მწერალთა კავშირში, ჩემი 80 წლის იუბილეზე ბავშვებმა შესანიშნავად შეასრულეს."

მიმავალ წელს პოეტ ზოია გაშაკიძეს 85 წლის იუბილე აქვს! შემოქმედებითი მუხტი არ განელებოდეს გაუხუნარი გონების მქონე ქალბატონს!

# თავისუფალი სტილით მოჭიდავე ოთარ ადეიშვილი მსოფლიო ჩემპიონატის პრიზიორია




15-დან 18 აგვისტოს ჩათვლით ბულგარეთის დედაქალაქ სოფია მასპინძლობდა მსოფლიო ჩემპიონატს თავისუფალი სტილით ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. აღნიშნულ ჩემპიონატში ააიპ სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტის კლუბ "ფალავანის" (დირექტორი ვეფხვია სტურუა) აღზრდილი სპორტსმენებიც ასპარეზობდნენ. 97 კილოგრამ წონით კატეგორიაში ლუკა ხუჭუა, ხოლო 79 კილოგრამ წონით კატეგორიაში ოთარ ადეიშვილი. ჩვენი გაზეთით უკვე გაცნობეთ, რომ ამ სპორტსმენებმა უკვე მოიპოვეს მედლები კონტინენტის (ევროპის) ჩემპიონატზე, ლუკა ხუჭუამ მესამე, ხოლო, ოთარ ადეიშვილმა მეორე ადგილი. პლანეტის ამ უძლიერეს ჩემპიონატში მონაწილეობაც სამტრედიელი სპორტსმენებისთვის წარმატებული აღმოჩნდა.

ლუკა ხუჭუამ ორი შეხვედრა დამაჯერებლად მოიგო, მაგრამ ფინალში გასასვლელი შეხვედრა, სამწუხაროდ, ამერიკელთან წააგო. ოთარ ადეიშვილმა პირველი შეხვედრა ესპანელ გაბრიელ ოკალესიას რამოსს 13:0 მოუგო, მეორე შეხვედრა ყაზახ შამსატ ტაიროს მოუგო, მესამე შეხვედრა ირანელთან თავიდან ბოლომდე მისი უპირატესობით წარიმართა, თუმცა ბოლო წამებზე მოწინააღმდეგემ მცირედი უპირატესობით სძლია, ოთარმა მესამე ადგილის მოსაპოვებლად გამართულ ფინალურ შეხვედრაში თურქი დემირ კილიჰოვენი 8:0 დაამარცხა და მსოფლიო ჩემპიონატზე მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა.

"სამტრედიის მაცნე" ულოცავს ამ ბრწყინვალე გამარჯვებას ჩვენს თანაქალაქელ სახელოვან სპორტსმენებს, მათ მწვრთნელებს, ვეფხია და ლაშა სტურუებს, მათ მშობლებს და ყველა გულშემატკივარს. ჩვენს მუნიციპალიტეტს საკმაოდ წარმატებული მოჭიდავეები ჰყავს, დარწმუნებული ვართ, ისინი კიდევ უამრავჯერ გაგვახარებენ.

ნათია ნაცვლიშვილი




# როგორ გავუმკლავდეთ გადაღლილობას ხალხური მეთოდებით

თანამედროვე სამყაროში გადაღლა უცხო არავისთვისაა. დატვირთული სამუშაო გრაფიკი, სტრესი, ათასი საზრუნავი – ეს ყველაფერი ჯანმრთელობაზე პირდაპირ აისახება. თუ თავს გადაღლილად გრძნობთ და ენერგიის ნაკლებობას განიცდით, შეგიძლიათ სცადოთ ხალხური, მცენარეული საშუალებები, რომლებიც ამ პრობლემის მოგვარებაში დაგეხმარებათ.

**ტარხუნის ნაყენი**

ბალახის ნაყენს იყენებენ შინაგანად გამაძლიერებლად გადაღლილობის დროს, ასევე, შარდმდენად ცისტიტის, ართრიტის, რევმატიზმისა და კუჭნაწლავის დაავადებებისას.

ნაყენი:

1 სუფრის კოვზ გამხმარ დაქუცმაცებულ ბალახს დაასხით 1 ჭიქა მდუღარე წყალი. გააჩერეთ 1-2 საათი. გადაწურეთ და მიიღეთ 1/3 ჭიქა 3-ჯერ დღეში.

**სტაფილო**

ეს უძლიერესი ანტიოქსიდანტი იცავს ორგანიზმს გადაღლისა და დაბერებისგან. დალიეთ დღეში 1 ჭიქა ახლადგამოწურული სტაფილოს წვენი. მაგრამ გახსოვდეთ, სტაფილოს მიღება რეკომენდებული არ არის წვრილი ნაწლავის ანთების, კუჭის წყლულისა და გასტრიტის გამწვავების დროს. სტაფილოს წვენის გადაჭარბებულმა მოხმარებამ შეიძლება გამოიწვიოს ღვიძლის დაზიანება და კანის გაყვითლება. რეკომენდებული დოზაა 1/2 ჭიქა 2-ჯერ დღეში.



# როგორ შეიცვლება თქვენი ცხოვრება სექტემბერში – ასტროლოგიური პროგნოზი ყველასთვის

შემოდგომის პირველი თვე მეტად დატვირთულია მოვლენებით. პლანეტები ერთი ნიშნიდან მეორეში გადადიან, მერკური რეტროგრადული გახდება და შეფერხებები მოიმატებს და გარდა ამისა, პლანეტების უმეტესობა ერთმანეთს უპირისპირდება. ერთი სიტყვით, უნდა ვიყოთ ფრთხილად, დაკვირვებულად და მოპყრობა მართული საქმეების, ურთიერთობების შენარჩუნებაზე ან გაუმჯობესებაზე. მივყვეთ მოვლენებს თანმიმდევრულად:

სავეხურები:

22 სექტემბრამდე მზე ქალწულის ზოდიაქოშია. ქალწული მოგვიწოდებს, წესრიგისა და აკურატულობისკენ. ამ პერიოდში ხდება მოსავლის აღება და დაბინავება; ადამიანი მომართულია მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, დაგროვებაზე. თავად ქალწული საუკეთესო თანამშრომელია და ჩვენც გვირჩევს, სრულყოფილებამდე მივიყვანოთ ის საქმე, რასაც ვაკეთებთ. უნდა ვიზრუნოთ ჯანმრთელობაზე, დავნერგოთ ცხოვრებაში სასარგებლო თვისებები. 15-19 სექტემბერს მზე ნეპტუნს დაუპირისპირდება. ამ პერიოდში ნუ გააიდეალებთ ადამიანებს, იდეებს, საქმეებს. გაიუმჯობესეთ ძილის რეჟიმი, მოერიდეთ უძილობას. 19 სექტემბერს ცვლილებების დღეა. მიხვდებით, რა უნდა მოიცილოთ, რისგან უნდა გათავისუფლდეთ. 25-27 მზე იუპიტერს დაუპირისპირდება და ნუ გაგიკვირდებათ, საკუთარი აზრის მტკიცებას, მოუსმინეთ მოსაუბრესაც. იყავით დიპლომატიური, მომართული კომპრომისზე, არავისთან იკამათოთ.

მარსი ტყუპშია. აგვისტოდან, სადამდეც გამოვა 2023 წლის 25 მარტს. მარსი ტყუპში არის მოქნილი, აქტიური, საუკეთესო ორატორი და ვაჭარი. აგრეთვე, ახასიათებს "განმგმირავი" გამონათქვამები. იყავით ფრთხილად ალღებად, მჭრელ და ბასრ სიტყვებთან. არ გირჩევთ სხვებთან სიჩქარის გადაჭარბებას.

ვენერა ქალწულში გადავიდა 5 სექტემბერს და დარჩება 29 სექტემბრამდე, 29-ში თავის ნიშანს – სასწორს ესტუმრება 23 ოქტომბრამდე. ქალწულში ყოფნის დროს ვენერა მეტად პრაგმატულია. 29 სექტემბრიდან, როცა ვენერა სასწორში იქნება, შეყვარებულების დაქორწინება, მარტოსელებს კი დაწყვილება მოუნდებათ. 16 სექტემბერს ვენერას სატურნი დაუპირისპირდება. შეიძლება მოგვეჩვენოთ, რომ საყვარელ ადამიანს სათანადოდ არ უყვარხართ, ზედმეტად მკაცრი და მომთხოვნია თქვენ მიმართ. იყავით მოსიყვარულე და მზრუნველი; თავად გამოხატეთ რომანტიკული გრძნობები საყვარელი ადამიანის მიმართ.

მერკური 10 სექტემბერს, სასწორში რეტროგრადული სვლით ქალწულში დაბრუნდა და მერე სწორი სვლით ისევ გააგრძელებს სვლას სასწორში. გაითვალისწინეთ, რომ 2 ოქტომბრის ჩათვლით, სანამ მერკური რეტროგრადული იქნება, გახშირდება შეფერხებები, გაურკვევლობები და მაქსიმალური ყურადღება გამოავლინეთ. მერკურის რეტროგრადულობა საშუალებას გვაძლევს გადავხედოთ კორექტივები. ნუ ენდობით გადაუმოწმებელ ფაქტებს და თავადაც გააკონტროლეთ, რას ავრცელებთ. 22-24 სექტემბერს ნუ მიიღებთ მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, ნუ გააფორმებთ დოკუმენტებს, ხელშეკრულებებს. იყავით დაკვირვებული მეზაერობისას.

16 სექტემბერს ხელენა თევზების ნიშანში გადადის, სადაც დარჩება 2023 წლის 16 აპრილამდე. ხელენა არის ჩვენი მფარველი ანგელოზი. დაცულები ვართ იმ სფეროში, რომელ ნიშანს ან სახლს გადის.

23 სექტემბერს შემოდგომის ბუნიობა გველოდება; მზე სასწორის პირველ გრადუსში გადადის, სადაც 22 ოქტომბრამდე გაჩერდება. სასწორი განაგებს სიყვარულს, ქორწინებას, რომანტიკულ ურთიერთობებს, კანონს, თანამშრომლობას, პარტნიორობას, კონსულტაციას. მზის სასწორში ყოფნის დროს გააქტიურდება ეს თემები და ეცადეთ, თავადაც მომართული იყოთ, რომ გაიუმჯობესოთ საქმიანი და სასიყვარულო ურთიერთობები, დამოკიდებულება კლიენტებთან, კონსულტანტებთან. ბუნიობის დღეს მოგიწევთ მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღება. ზოგიერთის ცხოვრებაში გამოგიჩნდება ადამიანი, ვინც თქვენი გვერდ პარტნიორი გახდება. ზოგიერთმა შეიძლება გადაწყვიტოთ ურთიერთობის გაუმჯობესება, განახლება, ზოგმა კი წერტილი დასვათ და დაასრულოთ. ისე იმოქმედეთ, რომ გამარჯვებული თქვენ იყოთ.

სექტემბერი ურანისა და სატურნის კვადრატი გველოდება. ეს არის ცვლილებების ასპექტი. ინოვაციები ჩაანაცვლებს დრომოჭმულს. ასპექტი აქტიურია 25 სექტემბრიდან 13 ოქტომბრის ჩათვლით. მოსალოდნელია განახლებები, ცვლილებები წესებში, სტრუქტურაში. რეორგანიზაციებია მოსალოდნელი ძველ სისტემაში. დაფიქრდით, რა მიმართულებით უნდა განვითარდეთ, რა უნდა შეცვალოთ თქვენს ცხოვრებაში.

ახალმთვარეობას ვიზეიმებთ სასწორის მე-3 გრადუსში, 29 სექტემბერს 01:55-ზე. ამ დღეს მზეც და მთვარეც სასწორია. იყავით მომართული საქმიანი და სასიყვარულო ურთიერთობების გაუმჯობესებაზე. დაიცავით ყველა საქმესა და ურთიერთობებში ბალანსი. მოგეცემათ ახალი ხელშეკრულებების გაფორმების შესაძლებლობა. გამოგიჩნდებათ ახალი კლიენტები, პარტნიორები. უბრალოდ, მოემზადეთ, რომ სხვადასხვა შემოთავაზებას მიიღებთ. ამასთან, შეიძლება გახშირდეს დაპირისპირებები და კონფლიქტები და ეცადეთ, სასწორისეული ჰარმონიულობა და დიპლომატიურობა გამოავლინოთ ყველა უსიამოვნების მოსაგვარებლად.

თეა ინასარიძე



## გაიხარე!

4 ივლისი. 2022 წელი. ჩემს უახლოეს საუკეთესო კოლეგას და მეგობარს, ეთერ დეკანაძეს ტელეფონით ვესაუბრები. საუბრის თემა მისი ავტორობით ახლახან გამოცემული წიგნის "მოგონებები გარდასულ დღეთა" შესახებ შთაბეჭდილებებია. აღტაცებული ვარ... ციტატებიც კი ამოვწერე და ვფიქრობ, მისი გონივრული მოსაზრებები ჩემს თემატურ წერილებს წაუმძღვარო.

მკითხველს ამ წიგნიდან ერთი ამონარიდი მინდა შევთავაზო: "...ცხოვრება არაა "ოცნებათა საქანელა, არამედ მძიმე სვედრია, მძიმე ტვირთია. თუ მოერევი საკუთარ თავს ღირსეულად ატარო ის ჯვარი, რომელიც ღვთის ნებით და ღვთის განგებით დაგეკისრა". გულწრფელად გეტყვით, ძალიან მომეწონა შედარების ეს ფორმა "ოცნებების საქანელა", საოცრად ამეკვიატა იგი, რასაც მოჰყვა ქალბატონ ეთერ დეკანაძისადმი მიძღვნილი ლექსი "გაიხარე", რომელსაც გულით ვთავაზობ ჩვენი გაზეთის მკითხველს და ადრესატს.

"ოცნებების საქანელა"
მოძრავი და ზოგჯერ მშვიდი,
ცხოვრების გზა გრძელია და
საფიქრალი დიდზე დიდი.
ნუღარ ვშიშობთ, ნუღარ ვჩქარობთ,
გავუფრთხილდეთ საქანელას,
ოცნებებიც ფრთებს შეისხმას,
გაგვახარებს ნელა-ნელა.
"ოცნებების საქანელა"
ხან ღინჯია და ხან ჩქარი,
ღვთის განგებით ღირსეულად
ვმოქმედებდეთ მთელი ძალით.
გაიხარე, ჩემო ეთერ!
დაგიდლოცავ სიტყვებს ფრთიანს,
მოგონებებს წრფელს და ნათელს,
აჭარის მთებს ლაღს და მზიანს.

პატივისცემით და საუკეთესო სურვილებით
ნათელა ბელეიშვილი

მიოდრაგ დრაჟა მილანოვიჩი

# აფორიზმები, ანდაზები, ნაკვესები

– დაკვირვებით ჩახედეთ მოხუცს თვალებში – იქ შეიძლება თქვენი თავი დაინახოთ მომავალში!

***

– მუნჯის ენა გაცილებით უკეთ გასაგებია, ვიდრე ყბედის ლაქლაქი!

***

– კარს ზოგი შემოსვლისას აჯახუნებს, ზოგი გასვლისას!

***

– ვბრაზობ, როცა ბედნიერად ვგრძნობ თავს, რადგან ვიცი, რა მოჰყვება ამას!..

***

– მღვდელი გიჟსაც უგალობს სულთათანას!

***

– ნაგავსა და ნარჩენს შორის დიდი სხვაობაა!

***

– საშველი არ დაგვადგება, სანამ მხოლოდ მხსნელის მოლოდინში ვიქნებით!

***

– ყველა ლოქო არაა ულვაშის ტარების ღირსი, ზოგი მართლა ლოქოა!

***

– მომავლის ერთ-ერთი პრესტიჟული პროფესია იქნება' რობოტის პირადი მდივანი!

***

– რა ელის მამალს, რომელიც ბევრს ყივის და თანაც უდროო დროს?!

***

– გაიტანეთ წიგნები ქარში – თუ ვერ წაიკითხავს, გადაფურცლავს მაინც!!!

***

– ნუ გინდა დიდი ლუკმა – დაგახრჩობს!

***

– მისი პიროვნული ღირებულება ადრეც ნულის ტოლი იყო... ახლა კი ორ ნულამდე დაეცა!

***

– ევაც გაეყრებოდა ადამს, კიდევ ერთი მამაკაცი მაინც რომ ყოფილიყო ქვეყანაზე!

***

– მეგობრების რაოდენობას ვერ დაადგენ... სანამ ჯეკპოტს არ მოიგებ!

***

– დაეკარგა სინდისი. მპოვნელს ეთხოვ დასაბრუნებლად არ შეწუხდეს.

P.S. თარახმა ვარ ხებისმიერ სინდისზე გასაცვლელად!

***

– დაბურული სათვალეების მეშვეობით თავს არიდებს ჭეშმარიტებასთან თვალდათვალ შეხვედრას!

***

– გადახტა და "ჰოპ"-ის ნაცვლად "ვაი" დაიყვირა... ნახტომი შეუშალა!

***

– ყინულზე მიცემულ პირობას ფასი არა აქვს... დადნება!

***

– სიამაყე კუჭს ვერ აძღებს!

***

– ნიავსაც აქვს ქარიშხლად გადაქცევის თეორიული შანსი!

***

– ორმოს გვერდი აუარა და... ჭაში ჩავარდა!!!

***

– ვინც ფიქრობს, რომ ყველაფერი იცის, ის ამას მხოლოდ ფიქრობს!

***

– მესამე რომ დაიწყება, მაშინ დამთავრდება მეორე მსოფლიო ომი!

***

– ფურკრებიც თუ პარტიებს შექმნიან, უთავლოდ დავრჩებით!

***

– ამაოდ ირჯება კრუხი თუ ლაყე კვერცხებზე ზის!

***

– ხელის ჩამორთმევამდე კარგად დახედე ხელს, რომელსაც ართმევენ.

***

– ადრე გონიერი იყო... ახლა ჭკუაშია ჩავარდნილი!

***

– გარდაიცვალა საკუთარი განცხადების საფუძველზე!

***

– სხვის პრობლემებს უპრობლემოდ აგვარებს!

***

– უქმად დაკარგული დრო ძალიან იწელება!

***

– ქრთამი სამოთხესაც ანათებს!

***

– სადაც აისია, იქ დაისიც აუცილებელია!

***

– ისეთი მომაბეზრებელი ტიპი იყო,რომ საკუთარ თავსაც მოაბეზრა თავი!

***

– როგორ არ იღლება დედამიწა ამდენი ტრიალით?!

***

– ამბობენ "ფული ადამიანებს აჭუჭყიანებსო", თუმცა ისინი მაინც სუფთად გამოიყურებიან!

***

– ნამცეცო! ამოვარდი ჩემი თვალიდან, რომ დაგინახო!

***

– სახურავიდან ჩამოვარდნილი კრამიტი დაეცა თავზე და არ გატყდა!!!

***

– სტომატოლოგი ქალის შემა უნდოდა, მაგრამ მასთან ვიზიტის მიზეზი ვერ მოეფიქრებინა – ამოსაღები არაფერი ჰქონდა!

***

– ოჯახში რამდენი ცხოვრობთ?

– შვიდნი: მე, ჩემი მეუღლე, ოთხი შვილი და კრიზისი!

***

– იმხელა ცხვირი აქვს, რომ მისი ჩრდილი მის ნაბიჯს უსწრებს!

***

– ქმარი მთელი დღე საქონელს უვლიდა მინდორში, ხოლო მის ცოლს მისივე მეზობელი კაცი სახლში "უვლიდა."

***

– თავის ტკივილის სამკურნალოდ ექიმმა ავადმყოფს "ორი აგურის თერაპია" დაუნიშნა.

***

– სანამ დედალი ქვაბში იხარშებოდა, ღობეზე შემომჯდარი მამალი არხეინად არაკრაკებდა "ყიყლიყოს", არადა ამ დილითაც კი, საწყალ დედალს, ყველას თვალწინ ურცხვად უმტკიცებდა სიყვარულს... თანაც დიდი მონდომებით!

***

– ჩემმა ხვადმა მეზობლის ძუკნას დაადგა თვალი და პირველსავე პაემანზე თავხედურად პირდაპირ გადავიდა... კბენაზე!

***

– ისეთი საყვარელი გოგოა, რომ ყველაფერი უხდება – განსაკუთრებით სულელური ღიმილი!

***

– ქირდება კეთილმოწყობილი ბინა კეთილგანწყობილ ქალბატონთან ერთად. ფასი შეთანხმებით.

სერბულიდან თარგმნა

თემურ პირველმა



## ავთანდილ ჩაჩუას გახსენება



ორმოცი დღე გავიდა ჩვენი უფროსი მეგობრის, კოლეგის, რაიონის ყოფილი მთავარი ვეტ-ექიმის და შემდგომ დასავლეთ საქართველოს ვეტ-მომარაგების სამმართველოს მმართველის, ბატონ ავთანდილ ჩაჩუას გარდაცვალებიდან. ბატონი ავთანდილი უაღრესად კეთილშობილი, ერუდირებული და პატიოსანი ადამიანი გახლდათ, რომელსაც ადამიანებთან ურთიერთობა და კომუნიკაცია შესანიშნავად ხელეწიფებოდა. ათწლეულების ერთად მუშაობის მიუხედავად ერთ ეპიზოდს ვერ ვიხსენებთ, რომ მას ჩვენთვის ვერ გაეგოს და არ ეთანაგრძნოს.

მის შესანიშნავ პიროვნულ თვისებებთან და ღირსებებთან ერთად ბატონი ავთანდილი არაჩვეულებრივი ოჯახის წინამძღოლი იყო. მისი მეუღლე ქალბატონი ჟუჟუნა ფრანგიშვილი ჩვენი რაიონის ერთ-ერთი ქართული ენისა და ლიტერატურის წამყვანი ფილოლოგი გახლდათ, რომელიც, სამწუხაროდ, წელიწადნახევრის წინ უკურნებელი სენით გარდაიცვალა. მათ სამი შვილი დარჩათ, გიორგი რკინიგზის კავშირგაბმულობის წამყვანი ინჟინერია, ნინო სამოქალაქო რეესტრის სპეციალისტი, ხოლო ნაბოლარა თამარი ამჟამად გერმანიაში სწავლობს და მოღვაწეობს. სვეს ბიზნეს ადმინისტრირების (ტურიზმი) დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა გერმანიაში და წარმატებით დახურა სოციოლოგიისა და პოლიტოლოგიის სამაგისტრო კურსები, პარალელურად სწავლობს ილიაუნის ლიტერატურათმცოდნეობის მაგისტრატურაზე და უახლოეს მომავალში სწავლის გაგრძელებას აპირებს დოქტორანტურაში და კიდევ ერთი დოქტორის ხარისხის მქონე ახალგაზრდა შეემატება ჩვენს რაიონს.

ღმერთმა აცხონოს ბატონი ავთანდილის და ქალბატონი ჟუჟუნას ლამაზი და კეთილშობილი სულები და მათ ჭეშმარიტად ღირსეულ ოჯახს გამძლეობას და წარმატებებს ვუსურვებთ.

კოლეგები

## სამტრედიელი დათა ელიავა Ateitis cup 2022-ის საუკეთესო მცველის ტიტულის მფლობელია



ბათუმში საერთაშორისო ტურნირი Ateitis cup 2022 ჩატარდა ფეხბურთში, რომელშიც 13 გუნდი მონაწილეობდა. პირველ ადგილზე გავიდა იტალიის "იუვენტუსი", მეორეზე – ყაზახეთის "კაირატი", მესამეზე – თბილისის "დინამო", მეოთხეზე – სამტრედიის "სამტრედია".

სამტრედიელი დათა ელიავა ტურნირის საუკეთესო მცველად აღიარეს. დათა ელიავა სამტრედიის მუნიციპალიტეტის მესამე საჯარო სკოლის მეშვიდე კლასის მოსწავლეა. 12 წლის ბიჭუნა 8 წელია, ფეხბურთში დადის. დათა თავიდანვე კარგი მონაცემებით გამოირჩეოდა, არის საოცრად შრომისმოყვარე, არ იღლება. ბათუმის საერთაშორისო ტურნირზე დამსახურებულად მოიპოვა საუკეთესო მცველის ტიტული", – განაცხადა "სამტრედიის მაცნესთან" კომენტარში მწვრთნელმა, ლერი მეგრელიშვილმა.

ნინო ნანიტაშვილი




## ქირავდება!

პრესტიჟულ ადგილზე, კარგ ოფისში ქირავდება ფართი, გამოდგება მკერავის, მანიკურ-პედიკურის, მაკიაჟის, მასაჟის, ბუღალტრის, საქმის მწარმოებლის და სხვა მსგავსი პროფესიის საქმიანობის შესასრულებლად.

მის: ჭავჭავაძის ქუჩა №4 (რიკო კრედიტის წინ). ინფორმაციისთვის დარეკეთ შემდეგ ნომრებზე: 577 42 52 52 ან 577 37 83 44.


## 54:14 – "ფენიქსი" პირველივე თამაშის გამარჯვებულია

სამტრედიის ისტორიაში საკუთარ მოედანზე რაგბის გუნდმა "ფენიქსმა" პირველად ჩაატარა თამაში, უმასპინძლა აჭარის რეგიონის, კერძოდ, ქედის მუნიციპალიტეტის მორაგბეთა გუნდს და დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა. 54:14,ასე დასრულდა თამაშის ძირითადი დრო,სადაც "ფენიქსი" დომინირებდა.

სამტრედიელ მორაგბეთა გუნდი 9 თვის წინ ჩამოყალიბდა, რომლის დაფუძნებაში დიდი როლი მიუძღვის "ფენიქსის" მთავარ მწვრთნელს გურამ ხუჭუას. იგი წარსულში წარმატებული მორაგბეა და დღესაც წარმატებით თამაშობს გუნდში. გურამ ხუჭუა ასევე არის "ფენიქსის" გუნდის კაპიტანი.

2 სექტემბრის თამაში იმითაც იყო მნიშვნელოვანი, რომ მას დაესწრო სოლიდური წარმომადგენლობა, ვეტერანი რაგბისტები გოჩა მონიავა, დავით ცხვარაძე და ზაალ ხომაშურიძე. გუნდ "ფენიქსს" ამხნევებდა საქართველოს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი, გივი ჭიჭინაძე, წარსულში ცნობილი მორაგბე და საქართველოს ნაკრების წევრი.

ადგილობრივი გუნდის თამაშს თვითმმართველობის, კერძოდ, მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები ესწრებოდნენ. "ფენიქსს" ქომაგობდნენ ასევე სამტრედიის მუნიციპალიტეტის სპორტის სხვადასხვა სახეობის წარმომადგენლები.





გუნდი "ფენიქსის" ჩამოყალიბებასა და მის შემდგომ განვითარებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ღირსეულ სამტრედიელებს: სერგო რუხაძეს, გიორგი დადეშქელიანს, ოთარ ნიკურაძეს, ლევან თორდიაძეს, გელა ვეფხვაძეს.

სერგო რუხაძემ სატელეფონო საუბრით მიულოცა სამტრედიელ რაგბისტებს წარმატებული თამაში, გამარჯვება და იქვე ფინანსური მხარდაჭერა გამოუცხადა.

"თამაშით კმაყოფილები დავრჩით. რამდენიმე გამოცდილი მოთამაშე დაგვაკლდა და გუნდის აშკარად დაეტყო პროგრესი. ასევე, დიდი იმედები გვაქვს ჩვენი სამტრედიელი პერსპექტიული მორაგბეების, რომლებიც უკვე ტოლს არ უდებენ მოწინავე სპორტსმენებს. საპარტო შემადგენლობის დაკომპლექტებისას საკმაოდ დიდი კონკურენციაა. ჩვენი გეგმებია ბ ლიგის ლიდერობა და პირველ ლიგაში ასპარეზობა. და ეს მოვლენები სულ რაღაც ერთი წლის თავდაუზოგავი შრომის შედეგია. ძალიან სასიამოვნოა ის ფაქტიც, რომ თამაშს ესწრებოდა და ფოტორეპორტაჟიც მოამზადა "მსოფლიო რაგბის" საქართველოს ოფისის წარმომადგენლებმა,დავით საბაშვილმა. ძალიან დიდი მადლობა ჩვენი ქალაქის მუნიციპალიტეტის მერს, ბატონ დავით ბაბუაძეს მხარდაჭერისა და გვერდში დგომისთვის. დიდი მადლიერება მინდა გამოვხატო ჩვენი გუნდის გამგეობის წევრების მიმართ, რომლებიც, როგორც მატერიალურ-ტექნიკურ, ასევე მორალურ მხარდაჭერას გვიცხადებენ. ასევე, დიდი სიყვარულითა და პატივისცემით მადლობა მინდა გადავუხადო ჩვენი ქალაქის რაგბის გულშემატკივრებს. მათი თამაშზე დასწრება და ქომაგობა ძალიან მნიშვნელოვანი სტიმულია ჩვენი მორაგბეებისთვის. "რაგბი ჩვენი თამაშია". – "სამტრედიის მაცნესთან" თავისი განწყობა ასე დააფიქსირა ვეტერანმა რაგბისტმა, დავით ცხვარაძემ.

ნინო ნანიტაშვილი

## ვულოცავთ!




ნათია ნაცვლიშვილს




ზაზა ადეიშვილს

### ვულოცავთ!

**ბატონ ბიზანტი ბიბილეიშვილს!**

ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველსა და მეგობარს პატივისცემით ვულოცავთ დაბადების დღეს, ხანგრძლივ სიცოცხლესა და ოჯახის კეთილდღეობას ვუსურვებთ!

"სამტრედიის მაცნე"





**დემეტრე კიკვაძეს!**

13 წლის შესრულებას გილოცავთ, ჩვენო დემეტრე, უფლის მადლი და მფარველობა არ მოგაკლდებოდეს. შენი წარმატებებით გაგვახარებინოს ოჯახი, ახლობლები და ჩვენ, შენი დედის მეგობრები!

"სამტრედიის მაცნე"

**ანდრია ჭოჭელიას!**

დაბადების დღეს, 9 წლის შესრულებას გილოცავთ, ჩვენო ანდრია, სიხარული და წარმატებები იყოს შენი მეგზური სწავლასა და სპორტში.

უფლის მადლი და წყალობა არ მოგაკლდებოდეს!

"სამტრედიის მაცნე"



**ბატონ დავით ლორთქიფანიძეს!**

დაბადების დღეს გილოცავთ უდიდესი პატივისცემითა და ქრისტესმიერი სიყვარულით. ღმერთი იყოს თქვენი და თქვენი ოჯახის შემწე და მფარველი.

უფალმა გაგაძლიეროთ!

ლევან ბაბეჩავა

**ნათია ნაცვლიშვილს!**

უნიჭიერეს ჟურნალისტსა და პედაგოგს, ჩვენს ერთგულ კოლეგასა და მეგობარს გილოცავთ დაბადების დღეს. შემოქმედებით წარმატებებს, უღევ სიხარულსა და ბედნიერებას გისურვებთ საყვარელ ოჯახთან, ახლობლებთან და კეთილის მსურველებთან ერთად. კვლავ დიდხანს ამშვენებდეს "სამტრედიის მაცნეს" შენი ინტელექტუალური წერილები, ჩვენო ნათია!

"სამტრედიის მაცნე"

**მაგდალა ნირბაძეს!**

ჩვენო ძვირფასო ადამიანო, უდიდესი სიყვარულით და საუკეთესო სურვილებით დაბადების დღეს გილოცავთ. გვინდა,ყოველი წლის მოტანამ შენთვის ლამაზ, შინაარსიან და ღირსეულ ქალბატონს მხოლოდ ბედნიერება, სიხარული, ჯანმრთელი დღეები მოუტანოს. გვინდა, მუდამ კაშკაშებდეს შენი ვარსკვლავი და განათებდეს შემოქმედებით გზას. კეთილო, უანგარო, ერთგულო, ყველას მოფერებას დაგვილოცავს შენი ოჯახი, შენი ყოველდღიურობა, შენი შთამომავლობა. გვიყვარხარ, გვენატრები და გვამაყებს შენი არსებობა!

უდიდესი პატივისცემით შენი მეგობრები ნათელა გელეიშვილი, ქეთევან ზელიძე, ნინო ნანიტაშვილი, მზევინარ ბოსუა

**ქალბატონ მაგდალა ნირბაძეს!**

ჩვენი გაზეთის მეგობარს, ნიჭიერ ქალბატონსა და ლამაზ კალმოსანს დაბადების დღეს გილოცავთ კეთილი სურვილებით.

იხარეთ და იდღეგრძელეთ!

"სამტრედიის მაცნე"


რედაქციის მისამართი:
სამტრედია, რესპუბლიკის ქ. №6
ტელ: 599 02 41 11

სამტრედიის მაცნე

დირექტორი ბექან გობია
მთავარი რედაქტორი ქეთევან ზელიძე
გამომშვები რედაქტორი თეა ბაბუნაშვილი
პასუხისმგებელი მდივანი ლევან ბაბეჩავა
კომპიუტერული გრაფიკა მაკა პაპავა